



WOMEN'S FUND IN GEORGIA
ქალთა ფონდი საქართველოში

**მასწავლებელთა ცოდნისა და
დამოკიდებულებების კვლევა გენდერული
თანასწორობის შესახებ**

(კვლევის ანგარიში)

მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია
„ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფის მიერ“
პროექტის:

„გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა სკოლებში“
ფარგლებში

„ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით
თბილისი, 2014

სამუშაო ჯგუფი:
© თამარ ისაკაძე, ნათია გვიანიშვილი
საავტორო უფლებები დაცულია

კვლევის კითხვარის შედგენაში კონსულტაციის გაწვევისთვის მადლობას ვუხდით
მარიამ ამაშუკელს და სოფო ვასაძეს.

რედაქტირება: ნინო კენჭაძე

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს
ფონდის შეხედულებებს

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

თავი 1. კვლევის აქტუალობა და საჭიროების დასაბუთება

თავი 2. კვლევის დიზაინი

თავი 3. კვლევის მიზნები

თავი 4. მეთოდი, რესპოდენტების შერჩევა, გეოგრაფია

თავი 5. კვლევის შედეგები

თავი 6. კვლევის ზოგადი სურათი

თავი 7. ცოდნა/ინფორმირებულობა გენდერის შესახებ

თავი 8. ინფორმირებულობა საკანონმდებლო აქტებზე

თავი 9. დამოკიდებულებები და შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ

- 9.1 ქალი და ტრადიციები
- 9.2 ქალი და განათლება
- 9.3 ქალი და ოჯახი
- 9.4 ქალი და კარიერა
- 9.5 ქალი და საზოგადოება

თავი 10. მოსწავლეების დახასიათება გენდერული ნიშნით

- 10.1 საქმიანობის გენდერული ნიშნით გაყოფა და ქცევის გენდერული შეფასება
- 10.2 საგნების ათვისება და აკადემიური მოსწრება

თავი 11. დამოკიდებულება ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანებისადმი

თავი 12. განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების მიმოხილვა

დასკვნები

რეკომენდაციები

დანართი 1. ინტერვიუს გაიდი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე კვლევა ჩატარდა „ქალთა ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრენინგებისა და კვლევის ჯგუფის“ მიერ, საპილოტე პროექტის ფარგლებში „გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა სკოლებში“.

პროექტი მიზნად ისახავს, შეისწავლოს გენდერული თანასწორობის საკითხი განათლების სისტემაში, მოახდინოს შედეგების ანალიზი და ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ განვითარებისა და მხარდაჭერის მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის პროცესში.

კვლევის მიზანია **მასწავლებლების ცოდნის, დამოკიდებულებების და მზაობის** ანალიზი გენდერული თანასწორობის საკითხთან მიმართებაში, თუ, რამდენად არიან მასწავლებლები ქალთა საზოგადოებრივი აქტიურობის მხარდამჭერები და ავითარებენ თუ არა მოსწავლეებში გენდერული თანასწორობის მიმართ რელევანტურ დამოკიდებულებას.

კვლევის ჩატარების საჭიროება გამოიკვეთა საქართველოში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ შეცვლილი კანონმდებლობა მეტნაკლებად იცავს ქალთა უფლებებს და ამის პარალელურად დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ქართველი ქალების გარკვეული ნაწილი ფინანსურად დამოუკიდებელი და კარიერაში წარმატებულია, აქვს არჩევანისა და რეალიზების თავისუფლება, ეს მაინც არ ცვლის საზოგადოებრივ აზრს გენდერული როლების შესახებ და სტერეოტიპები კვლავ მყარია. აქამდე ჩატარებული კვლევების მიხედვით, გენდერული თანასწორობა არ არის დაცული საქართველოში და არც საზოგადოების დამოკიდებულებაა ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური ამ საკითხის მიმართ, ამიტომ ჩვენ დავინტერესდით, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ მასწავლებელთა წრეში და ზოგადად განათლების სისტემაში. შესაბამისად, რა სირთულეებისა და გამოწვევების წინაშე დგას საქართველოში მომავალი თაობა.

კვლევითი პროექტი შედგება თვისებრივი კვლევის კომპონენტისგან, რამდენადაც ეს იყო საპილოტე კვლევა თბილისში ჩატარდა სულ 5 ფოკუსური ჯგუფი, კვლევითი პერიოდი მოიცავდა 2013 – 2014 წლებს. შედეგების ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები.

რესპოდენტების გამოკითხვის გარდა მოხდა განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი, კერძოდ: კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის სტანდარტი, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, რამდენადაც კვლევის ინტერესს წარმოადგენდა, იმის გარკვევაც, არსებულ დოკუმენტებში ასახულია თუ არა გენდერული თანასწორობის პრინციპები, ავალდებულებს თუ არა კანონმდებლობა მასწავლებელს, რომ იგი ფლობდეს ცოდნას გენდერული თანასწორობის შესახებ და ითვალისწინებდეს მას სასწავლო მიზნებისა და სწავლების პროცესში.

კვლევის შედეგად მოხდა იმ პრობლემების იდენტიფიკაცია, რომელიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის საკითხის წარმატებით განხორციელებას ზოგად საგანამანათლებლო სისტემაში.

ანგარიში შედგება შემდეგი ნაწილებისგან: კვლევის მიზნები, კვლევის დიზაინი, კვლევის საჭიროების დასაბუთება, თვისობრივი კვლევის შედეგები, ძირითადი დასკვნები და ზოგადი რეკომენდაციები საქართველოს განათლების სისტემაში ცვლილებების განხორციელებაზე გენდერული თანასწორობის ფუნდამენტალური პრინციპების დანერგვის მიზნით.

კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია განათლების სფეროსა და გენდერის სპეციალისტებისა და ექსპერტებისთვის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან განათლების ხარისხის გაუმჯობესების პროცესებში, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.

კვლევის აქტუალობა და საჭიროების დასაბუთება

კვლევის მიზნები აქტუალური და მნიშვნელოვანია ქართულ სინამდვილეში, რამდენადაც ერთის მხრივ შესაძლოა საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს გენდერული თანასწორობის იდეას, მაგრამ მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ცნობიერება ხშირად მოიცავს სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს და დისკრიმინაციის ფაქტებს, ასევე ხშირია პრაქტიკული მაგალითები, როდესაც ირღვევა თანასწორობის უფლებები, მაგ. დასაქმების, სოციალური პოლიტიკისა და სამოქალაქო განვითარების კუთხით. საქართველოს, როგორც ცენტრალურ, ისე პერიფერიულ უბნებში ხშირად ვაწყდებით ქალთა დისკრიმინაციის, ადრეული ქორწინების, ძალადობის ფაქტებს.

ჩნდება კითხვა, სად ეყრება საფუძველი შეხედულებებს გენდერული თანასწორობისა და ქალის როლის შესახებ? ვინ ან/და რა ახდენს გავლენას დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე? მოიაზრებს თუ არა ეროვნული, კულტურული, ტრადიციული და რელიგიური შეხედულებები გენდერულად მგრძობიარე საკითხებს და თავის მხრივ აქვს თუ არა მას გავლენა ადამიანთა ცნობიერების ჩამოყალიბებაზე? რა როლი ენიჭება საგანმანათლებლო სისტემას და ისეთ ინსტიტუციებს, როგორცაა სკოლა, საბავშვო ბაღი, პროფესიული სასწავლებელი, უნივერსიტეტი? აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ ჩავთვალეთ სწორედ ამ ორი სფეროს: გენდერული საკითხის და საგანმანათლებლო სისტემის ინტეგრირებული კვლევა, რამდენადაც სკოლაში, სადაც საფუძველი ეყრება, არა მხოლოდ კონკრეტული საგნების ათვისებას, არამედ უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, საინტერესოა, რა როლი უჭირავს გენდერული თანასწორობის შესახებ წარმოდგენებს. ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდას ერთმნიშვნელოვნად უწყობს ხელს სკოლაში მიღებული ჩვევები და უნარები, შესაბამისად მასწავლებლების ცოდნა და მზაობა ამ მხრივ ჩვენი კვლევის ინტერესია.

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის უმთავრესი მიზანია საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას და ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, განათლებაშიც.

ბოლო პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის ხელშეწყობაში, მაგრამ წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის - ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და განვითარების პროგრამების

ამოქმედების ერთობლივი ძალისხმევით. შესაბამისად, განათლების სისტემაში არსებული პრობლემების დანახვა ხელს შეუწყობს განვითარების პროგრამების ინიცირებას.

მიუხედავად არსებული საკანონმდებლო ბაზისა სოციალური კონსტრუქტები, სტერეოტიპები, ტრადიციები, შეხედულებები მაინც გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილებას ადასტურებს ხოლმე, შესაბამისად სწორედ მასწავლებელთა განწყობებისა და ცოდნის კვლევა ამ კუთხით მოგვცემს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნები, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას მომავალში გენდერული თანასწორობის საკითხი და ქალთა უფლებები.

ზოგჯერ ფიქრობენ, საქართველოს ისტორიაში არსებული ფაქტებიდან გამომდინარე გენდერული თანასწორობის საკითხი ისედაც დაცულია, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში ქალს ჩადრი არ ახურავს, კანონით აქვს განათლების მიღების უფლება, აქვს დასაქმების საშუალება და სხვა. თუმცა, ამ ფაქტების პარალელურად ვაწყდებით სხვა საგანგაშო ფაქტებს:

- **გენდერული უთანასწორობა** კავშირშია დედათა და ქალთა სიკვდილიანობასთან და უმეტესად განპირობებულია ქალების შეზღუდული ხელმისაწვდომობით ჯანდაცვის სერვისებთან სხვადასხვა მიზეზების გამო.
- **გენდერული უთანასწორობა** ასევე კავშირშია ბავშვთა ზრუნვის საკითხთან. ოჯახური კონფლიქტი, ქალის მორჩილება, ძალადობა და ქალის დაბალი თვითრეალიზების განცდა უარყოფითად აისახება ბავშვთა აღზრდაზე.
- **გენდერული უთანასწორობა** აფერხებს ბავშვისა და ქალის განვითარების უნარს, ნორმალური ზრუნვის გარეშე დარჩენილ ბავშვს დაბალი შესაძლებლობა აქვს მიიღოს ნორმალური საკვები, განათლება და იცხოვროს ნორმალურ პირობებში.
- **გენდერული უთანასწორობა** მნიშვნელოვნად ზრდის მსოფლიოში და საქართველოში ინსტიტუციაში და ქუჩაში მცხოვრები ბავშვების რაოდენობას
- **გენდერული უთანასწორობა** კავშირშია კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებასთან, პროსტიტუციის, ძალადობისა და ნარკომანიის ზრდასთან. ეს საკითხები კი დღესდღეობით ყველაზე მწვავედ დგას და მნიშვნელოვნად აფერხებს მსოფლიოში მშვიდობისა და განვითარების მიღწევას.
- **გენდერული უთანასწორობა** კავშირშია ქალთა ჩაგვრის ისეთ ფორმებთან, როგორცაა საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული ადრეული ქორწინებები, მოტაცება ქორწინების მიზნით, ქალიშვილობის ინსტიტუტი. ეს თავისთავად ქალთა უფლების დარღვევა, მისი პიროვნული თავისუფლების იგნორირებაა.
- **გენდერული უთანასწორობა** საზოგადოებაში ზრდის ძალადობის ფაქტებს, არსებობს ფაქტები, რომ ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 35%-ზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სიტყვიერ, ემოციურ და ეკონომიკურ ძალადობას.
- **გენდერული უთანასწორობა** კავშირშია ტაბუ დადებულ ქალთა სექსუალობის საკითხთან, ქვეყანაში არ არის შემუშავებული ერთიანი ხედვა და სტრატეგია

სექსუალური განათლების შესახებ, რაც კავშირშია ქალების, მათ შორის ორსულების, ახალბედა დედების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან.

- **გენდერული უთანასწორობა** განაპირობებს საქართველოში არსებულ ძალიან მაღალ სტატისტიკას სელექციური აბორტების შესახებ.
- **გენდერული უთანასწორობა** ჩანს იმაშიც, რომ ქალების თანამონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკმაოდ დაბალია, ქალები არიან დასაქმებული კერძო თუ საჯარო სამსახურებში, თუმცა უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურებზე, ხოლო მაღალ და გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების უმრავლესობა მამაკაცებს უჭირავთ.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე კვლევის შედეგები საგანმანათლებლო სისტემაში, კონკრეტულად კი მასწავლებელთა ცოდნის, დამოკიდებულების და მზაობის კვლევა, შემდგომში განსაზღვრავს ქალის მიმართ ზიანის შემცირებისა და აღმოფხვრის გზებს, რადგან პიროვნული და სოციალური განვითარების ჩამოყალიბებაზე სკოლის ინსტიტუტი ერთ-ერთი ძლიერი ზეგავლენის მქონე ინსტიტუტია.

კვლევის დიზაინი

კვლევის მიზნები:

- ✚ წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ძირითადი მიზანია ქართულ სკოლებში **მასწავლებელთა დამოკიდებულებების** შესწავლა გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში, განსაკუთრებული აქცენტით მოსწავლე გოგონების მონაწილეობის გაზრდაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- ✚ **მასწავლებელთა ცოდნის** კვლევა გენდერის საკითხების შესახებ, ინფორმირებულობის დადგენა და ცოდნის რელევანტურობის განსაზღვრა;
- ✚ **მასწავლებელთა მზაობის** კვლევა, თუ როგორია მათი მიმდებლობა მოსწავლე გოგონათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობის გაზრდაზე და რა უნარები აქვთ ამისთვის.

მეთოდი, რესპოდენტების შერჩევა და გეოგრაფია:

საპილოტე კვლევა ჩატარდა თბილისში, შედგა სულ 5 ფოკუსური ჯგუფი, მონაწილეობდა 50 მასწავლებელი, ჯგუფებში თანაბრად მონაწილეობდა, როგორც დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის, ტექნიკური, ჰუმანიტარული და ბიოლოგიური, ასევე სამოქალაქო განათლების საგნების მასწავლებლები. ყველა რესპოდენტი იყო ქალი, საშუალოდ 25-დან 60 წლის ასაკამდე. გეოგრაფიულად, კვლევა ჩატარდა, როგორც თბილისის ცენტრალურ, ისე პერიფერიულ რაიონებში, კერძოდ, გლდან-ნამალადევის, ისანი-სამგორის, ვაკე საბურთალოს 3 სკოლაში და ასევე 2 ჯგუფთან, სადაც რესპოდენტები თბილისის სხვადასხვა რაიონების სკოლებიდან მონაწილეობდნენ. მონაწილე რესპოდენტებს შორის იყვნენ მასწავლებლები, რომელთაც გავლილი აქვთ ტრენინგები შემდეგ თემაზე: „მასწავლებელთა პროფესიული უნარები“, „სწავლებისა და განვითარების თეორიები“, რამდენიმე მათგანს გავლილი ჰქონდა „ინკლუზიური განათლების ტრენინგი“. რამდენიმე მათგანი იყო სქემაში ჩართული და სერთიფიცირებული მასწავლებელი. კვლევის კითხვარი წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი 1).

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გარდა ზოგადი სურათისა, მოხდა შემდეგი თემების დიფერენცირება:

1. ცოდნა/ინფორმირებულობა გენდერის შესახებ
2. ინფორმირებულობა საკანონმდებლო აქტებზე
3. დამოკიდებულებები და შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ
 - 3.1 ქალი და ტრადიციები
 - 3.2 ქალი და განათლება
 - 3.3 ქალი და ოჯახი
 - 3.4 ქალი და კარიერა
 - 3.5 ქალი და საზოგადოება
4. მოსწავლეების დახასიათება გენდერული ნიშნით
 - 4.1 საქმიანობის გენდერული ნიშნით გაყოფა და ქცევის გენდერული შეფასება
 - 4.2 საგნების ათვისება და აკადემიური მოსწრება
5. დამოკიდებულება ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანებისადმი

კვლევის შედეგები თითოეული თემის შესახებ ქვემოთ არის წარმოდგენილი.

კვლევის ზოგადი სურათი

კვლევის შედეგები, მოწმობს, რომ მასწავლებელთა ცოდნა გენდერის შესახებ არ არის ობიექტური, ისინი მსჯელობისას არ იყენებენ სხვადასხვა თეორიულ ან/და კვლევაზე დაფუძნებულ არგუმენტებს, არამედ ეყრდნობიან ტრადიციულ და სტერეოტიპულ შეხედულებებს. მათი ცოდნა ასევე ზედაპირულია საკანონმდებლო აქტების შესახებ, თუმცა იმასაც აღიარებენ, რომ საქართველოში გენდერულ თანასწორობას არა კანონები, არამედ საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები არეგულირებს. გენდერული თანასწორობა მათ ესმით, როგორც ქალისა და კაცის თანასწორობა, თუმცა „თანასწორობაში“, ამავდროულად გულისხმობენ „ერთნაირობას“, ერთნაირი მიმდევრობის კეთების ვალდებულებას და კაცის ქალისადმი პატივისცემის, რაინდული ქცევის გამოხატვის სიმცირეს, რაც ქართული კულტურული ნორმებისთვის მიუღებლად მიაჩნათ. მათ უჭირთ, დაასახელონ მაგალითები, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს გენდერულმა უთანასწორობამ, თუმცა მას უკავშირებენ ქალის ჩაგვრას, ქალზე ფიზიკურ ძალადობას. რესპოდენტთა უმრავლესობა ქალისა და კაცის როლების ტრადიციული განაწილების მომხრეა. გენდერული სტერეოტიპები მათ ახსენებთ ხალხში გავრცელებულ შეხედულებებს და თვლიან, რომ ისინი ძირითადად ფოლკლორიდან, ანდაზებიდან, იგავებიდან არის გავრცელებული, თუმცა ამ სტერეოტიპებს დღესაც გავლენა აქვს ადამიანების ქცევაზე. თავად მასწავლებლებიც, საუბრისას სტერეოტიპებს იყენებენ ქალისა და კაცის გენდერული როლების გადანაწილების ანალიზისას, მაგალითად მიაჩნიათ, რომ ქალისთვის მთავარია ოჯახი, დედობა, ვიდრე პროფესიული წინსვლა, მიაჩნიათ, რომ კაცი უნდა უზრუნველყოფდეს ოჯახს მატერიალურად. ამავდროულად, მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ სკოლა, როგორც ინსტიტუტი არ ახდენს გავლენას გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაზე. ზოგადად, მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ პრობლემური საკითხების წინაპირობა არის ოჯახებში, მაგ. განქორწინებაში მყოფი ცოლ-ქმარი, ძიძის ანაბარა დატოვებული ბავშვი და ა. შ იწვევს ბავშვების რთულ ქცევებს, ხოლო გენდერული თანასწორობა ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსთვის, რამდენადაც, ქართულ კულტურაში და ისტორიაში უზვია ქალთა გმირობის მაგალითები. ასევე, ქალი, როგორც „მუზა“ შთაგონების წყაროა სწორედ იმ შემოქმედი ადამიანებისთვის, რომელთაც ქართული კულტურა და ხელოვნება შექმნეს. შესაბამისად, ჰუმანიტარი საგნების მასწავლებლები მომხრეები არიან, რომ სწავლებისას ქალი მხატვრული, სათნო, მზრუნველი სახე დაანახონ მოსწავლეებს ამა, თუ იმ ნაწარმოების ახსნისას. ტექნიკური საგნის მასწავლებლები არ განასხვავებენ ბიჭებისა და გოგონების ინტელექტუალურ უნარებს ტექნიკური საგნების წარმატებით ათვისების მიმართულებით, თუმცა „თეორიულ დაშვებას“ აკეთებენ, რომ ბიჭებს ზოგადად უფრო მაღალი უნარები აქვთ, ამას უკავშირებენ ტვინის ზომასაც.

მასწავლებლებთან ჩატარდა დისკუსია განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ისეთ დოკუმენტებზე, როგორცაა კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის სტანდარტი, მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ, უმეტეს წილად სერთიფიცირებული მასწავლებლები

იყვნენ ინფორმირებული აღნიშნული დოკუმენტების შესახებ; ზოგადად, მათი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის მიზანშეწონილი გენდერული თანასწორობის შესახებ ჩანაწერის ჩამატება და ამის განმტკიცება, რამდენადაც ამგვარი საკითხები ჯობია რეგულირდებოდეს სოციალური და პიროვნული კონტექსტებით, ტრადიციებით.

ზოგადად, მათი შეხედულებები ტრადიციულია და პრაქტიკულად აღიარებს მამაკაცის დომინანტობას კარიერასა და ოჯახში. სოციალურ და პოლიტიკურ აქტივიზმშიც მიაჩნიათ, რომ კაცი უნდა იყოს მთავარი.

გენდერული უთანასწორობა, კვლევის მონაწილეების აზრით, ასოცირდება კაცისადმი ქალის მორჩილებასთან ოჯახური ურთიერთობის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტში. მამაკაცების მიერ ქალთა უფლებების შეზღუდვების მაგალითად, მონაწილეები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ დასაქმების, გადაადგილების, ოჯახთან ან მეგობრებთან ურთიერთობის შეზღუდვას ან სრულად აკრძალვას. ისინი, ასევე თვლიან, რომ ოჯახში საქმე არ არის თანასწორად განაწილებული და მამაკაცს უფრო მეტი თავისუფლება აქვს, მაშინ, როცა ქალისგან მეტი საქმის კეთებას და ასევე მეტ ამტანობას და თმენას მოითხოვენ.

მონაწილენი, საკმაოდ სენსიტიურები არიან შრომის კანონზე, რომელიც დედებისთვის არ ითვალისწინებს შეღავათებს, ისინი საუბრობენ დეკრეტული შვებულების 3 წლამდე გაზრდის აუცილებლობაზე, თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ბევრი რამ თავად დამქირავებლებზეა დამოკიდებული, მაგალითად კონტრაქტით, გარკვეული ვადით სამსახურში აყვანილი თანამშრომლები დეკრეტული ანაზღაურებადი შვებულებით უმეტეს წილად ვერ სარგებლობენ. ასევე, სკოლის ასაკამდე შვილების დედას უნდა ქონდეს მოქნილი გრაფიკით სარგებლობის უფლება და უფროსის „კეთილ ნებაზე“ არ უნდა იყოს დამოკიდებული მსგავსი საკითხები.

დისკუსიებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა აზრით, გენდერული თანასწორობა შესაძლოა ერთის მხრივ იცავს ქალს ძალადობისგან, ჩაგვრისგან, აძლევს საზოგადოებაში თანამონაწილეობის საშუალება, მაგრამ მეორეს მხრივ „ჩნდება საფრთხე“, რომ ქალი შესაძლოა „ზედმეტად თავისუფალი“ გახდეს, დაკარგოს „სოციალური პასუხისმგებლობა“ და „კაცს დაემსგავსოს“, ამიტომ ამ თემის ხმამაღალი პროპაგანდა, რესპოდენტების აზრით, შესაძლოა საფრთხის მომტანი იყოს.

ჩვენ კვლევისას, ასევე, დავსვით შეკითხვები რამდენად ინფორმირებულები არიან მასწავლებლები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების შესახებ, ხუთივე ფოკუსური ჯგუფის შემთხვევაში მონაწილეთა უმეტესობამ გამოავლინა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საკითხებთან მიმართებაში სწორი ინფორმაციის ნაკლებობა, ხოლო მიმდებლობის ხარისხიც უმეტესწილად საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა.

ცოდნა/ინფორმირებულობა გენდერის შესახებ

კვლევამ გამოავლინა გამოკითხული მასწავლებლების ცოდნისა და ინფორმირებულობის ხარისხი გენდერის თემის ირგვლივ, კონკრეტულად კი, თუ როგორ ესმით ცნებებისა და ტერმინების მნიშვნელობა, როგორცაა „გენდერი“, „გენდერული თანასწორობა“, „გენდერული როლები“, „გენდერული სტერეოტიპები“, ფლობენ თუ არა ინფორმაციას კანონზე გენდერული თანასწორობის შესახებ და სხვა.

რესპოდენტები ცნებებში „გენდერი“ და „გენდერული თანასწორობა“ ერთი და იგივე შინაარსს დებენ. მაგ. შეკითხვაზე თუ „როგორ გესმით სიტყვა გენდერი“ დაფიქსირდა ასეთი პასუხები: „გენდერი არის გენდერული ბალანსი“, „გენდერი არის გენდერული თანასწორობა“. შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რესპოდენტებმა იცინან, რომ გენდერი, არის სქესის სოციალური და არა ბიოლოგიური მახასიათებელი, თუმცა ამას ამ სიტყვებით არ გადმოსცემენ. შესაბამისად ხუთივე ჯგუფში სიტყვა „გენდერი“ გაგებულია, როგორც მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობა ან/და სქესთა თანაფარდობა, რომელიც კანონით უნდა იყოს დაცული.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა ცოდნა არის ზედაპირული, ისინი თვითონვე აღნიშნავენ, რომ „გენდერის საკითხზე თავის დროზე არ უსწავლიათ“, არც რაიმე სახის ტრენინგი აქვთ გავლილი, შესაბამისად ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ ძირითად მასმედიის საშუალებით არის მიღებული. მათი ცოდნა ფრაგმენტული და ასოციაციურია, არ ეფუძნება თეორიებს ან კვლევის შედეგად მიღებულ ინფორმაციას, გამომდინარეობს ტრადიციული ან/და რელიგიური შეხედულებებიდან.

ზემოთ დასახელებული ტერმინები (გენდერი, გენდერული ბალანსი), მათ ასოციაციურად ახსენებს ისეთ ფაქტებს, როგორცაა: ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიაში ქალების რაოდენობის ზრდა, ქალების მიერ მაღალი თანამდებობების დაკავება, მაღალი შემოსავალი, კარიერული წინსვლა სოციალურ, პოლიტიკურ ან ბიზნეს სფეროში. ამის შემდეგ ახსენებთ, რომ გენდერული საკითხები ასევე დაკავშირებულია ოჯახური ძალადობის, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის, ადრეული ქორწინების ქმრის მორჩილების ფაქტებთან.

ტერმინი „გენდერული როლები“ გაგებულია, როგორც ისტორიულ-კულტურულ, ისე თანამედროვე ჭრილში. რესპოდენტები ამბობენ, რომ ტრადიციული შეხედულებებით გენდერული როლი სქესის ბიოლოგიური ფაქტორით განისაზღვრება. მაგალითად, თუნდაც ის, რომ არსებობს „ქალური და მამაკაცური პროფესიები“. ხოლო თანამედროვე შეხედულებით ქალები და კაცები ერთნაირი როლების მატარებლები შეიძლება იყვნენ.

გენდერული უთანასწორობა, კვლევის მონაწილეების აზრით, ასოცირდება კაცისადმი ქალის მორჩილებასთან ოჯახური ურთიერთობის, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტში. მამაკაცების მიერ ქალთა უფლებების შეზღუდვების მაგალითად, მონაწილეები ყველაზე ხშირად ასახელებდნენ დასაქმების, გადაადგილების, ოჯახთან ან

მეგობრებთან ურთიერთობის შეზღუდვას ან სრულად აკრძალვას. ისინი, ასევე თვლიან, რომ ოჯახში საქმე არ არის თანასწორად განაწილებული და მამაკაცს უფრო მეტი თავისუფლება აქვს, მაშინ, როცა ქალისგან მეტი საქმის კეთებას და ასევე მეტ ამტანობას და თმენას მოითხოვენ.

ხუთივე ფოკუს ჯგუფის მონაწილეები გენდერული უთანასწორობის საკითხს მნიშვნელოვნად უკავშირებენ ბავშვის აღზრდას და თვლიან, რომ ასეთი უთანასწორობა ოჯახში კონფლიქტებს წარმოშობს, რაც საზიანოდ აისახება ბავშვების ფსიქიკაზე. ამის გამო *” ბავშვი შესაძლოა საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებად ვერ გაიზარდოს”*. გენდერული უთანასწორობის ფაქტებად უფრო ხშირად ასახელებენ ქმრის მიერ ცოლზე ფიზიკურ ძალადობას, რაც დედას შვილების აღზრდაში უშლის ხელს.

ინფორმირებულობა საკანონმდებლო აქტებზე

ფოკუს ჯგუფებში მონაწილე მასწავლებლებმა ვერ გაიხსენეს თითქმის ვერცერთი კანონი, რომელიც გენდერულ საკითხებს ეხება, თუმცა დაასახელეს საქართველოს კონსტიტუცია, როგორც თანასწორობის გარანტი და ასევე, გაიხსენეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ დაწყებული სოციალური კამპანია, სოციალური რეკლამები.

მონაწილეთა აზრით საზოგადოება არ არის ინფორმირებული გენდერული თანასწორობის შესახებ, რაც უარყოფითად აისახება საქართველოში ქალთა მდგომარეობაზე. ამ მიზეზით მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ გენდერული განათლება საჭიროა როგორც პედაგოგებისთვის, ასევე უფრო ფართო საზოგადოებისთვის. ამავე ჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ეს განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრებ ქალებს ეხება.

მონაწილეებს მეტწილად ახსოვთ, ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის სტანდარტის ფუნქციური დატვირთვა და ასევე იციან ის, რომ არცერთ ამ დოკუმენტში არ არის შესული პუნქტი გენდერული თანასწორობის შესახებ.

მასწავლებლის სტანდარტში მსგავსი პუნქტის არსებობის შესახებ ხუთივე ჯგუფში აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა:

მასწავლებელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მსგავსი დებულების ჩამატება ზედმეტია, რადგან გენდერის საკითხი უფრო ეხებათ კლასის დამრიგებლებს და მათ ისედაც უნდა გააჩნდეთ იმის უნარი, რომ მოსწავლეები ერთმანეთისგან დიფერენციაცია რაიმე ნიშნით არ მოახდინონ და იზრუნონ იმაზე, რომ კლასში არავინ დაიჩაგროს, ხოლო გოგონებისა და ბიჭების ურთიერთობის საკითხები ისედაც შესულია „სამოქალაქო განათლების კურსში“. თუმცა მეორე ნაწილი თანახმაა, რომ სტანდარტში ჩაიწეროს პუნქტი გენდერული თანასწორობის შესახებ, თუმცა ეს დებულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მასწავლებლის ტრადიციულ ღირებულებებს, რომლებშიც ძირითადად, პოლარიზებული

გენდერული როლების მქონე მამაკაცებისა (ვაჟკაცები) და ქალების აღზრდა იგულისხმება.

„თუ გენდერის საკითხი შვეა მასწავლებლის სტანდარტში, ამით ქალის და კაცის ტრადიციულ როლებს საფრთხე არ დაემუქროს, არ დაირღვეს ძირითადი ჩარჩოები, კაცი რომ „რანდი“ უნდა იყოს და ქალი „ნაზი“.“

მასწავლებლის ღირებულებებისათვის შეუსაბამო დებულებების მაგალითად ერთ-ერთმა მონაწილემ ასევე დაგვისახელა ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში გენდერულად ნეიტრალური თოჯინების შეტანა საბავშვო ბაღში. მსგავსი ტიპის ინიციატივები პედაგოგების მიერ უარყოფითად ფასდება.

მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელი აღმოჩნდა მომხრე, რომ განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტებში შევიდეს გენდერული საკითხის ამსახველი პუნქტი, მისაღებად მიიჩნევენ ამგვარ დებულებას:

„მასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის შესახებ“

არგუმენტებად, თუ რატომ უნდა იყოს ეს დებულება საკანონმდებლო ბაზაში, დასახელდა ის, რომ ამ შემთხვევაში მასწავლებელი უფრო მეტად დაინტერესდება ამ საკითხით, მოიძიებს და წაიკითხავს ინფორმაციას, მაშინ როცა არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი პედაგოგი ამის საჭიროებას ვერ ხედავს. ასევე, შესაძლოა მასწავლებელი გაუცნობიერებლად ეწეოდეს გენდერული დისკრიმინაციის შესახებ იდეების პოზიტიური კუთხით წარმოჩენას, რასაც არსებული სტანდარტი დაარეგულირებს.

დამოკიდებულებები და შეხედულებები გენდერული თანასწორობის შესახებ

გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში ქალის კულტია, ქალის, როგორც დედის პატივისცემა ხანგრძლივ ისტორიას ითვლის, ამიტომ გენდერულ თანასწორობაზე ხმამაღალი ლაპარაკი შესაძლოა არც არის საჭირო, რადგან იშვიათია ქალის მისი სქესიდან გამომდინარე დისკრიმინაციის ფაქტი. რესპოდენტები თვლიან, რომ „ქალები ირიბად და ფარულად მაინც ოჯახის მმართველებად გვევლინებიან“, თუმცა „თვალსაჩინო მმართველის როლი მაინც მამაკაცს უნდა ჰქონდეს“, „მამაკაცის შემოსავალი უფრო მაღალი უნდა იყოს“, „თუ კაცი არ მუშაობს, ეს დამამცირებელია“ და ა. შ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები

გენდერულ როლებზე: უმრავლესობა თვლის, რომ ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, ხოლო დედა, რომელიც ძიძასთან ტოვებს შვილს, მის განვითარებას საფრთხეს უქმნის. ქალმა არ შეიძლება უარი თქვას საშინაო საქმეების კეთებაზე, ხოლო კაცმა - ეკონომიკური შემოსავლის უზრუნველყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა მოჰყავს პრაქტიკული მაგალითები ქართული რეალობიდან, თუ როგორ გაიზარდა ქალთა აქტიურობა ფინანსური კრიზის დაძლევის კუთხით 90-იანი წლების შემდეგ და ამჟამად ოჯახის მარჩენალთა დიდი ნაწილი სწორედ ქალია, მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის თავისთავად „მძიმე ფაქტი“, „საზოგადოების მანკიერება“, და თუ იქნება შესაძლებლობა, უმჯობესია ქალი არ მუშაობდეს ან ნაკლებად დატვირთული იყოს, დამსაქმებელი და შრომის კანონი ქალს ხელს უწყობდეს რომ ოჯახში მეტი დრო გაატაროს და შვილებს მოახმაროს ენერჯია. მასწავლებელთა უმრავლესობის აზრით, ქალი საზოგადოების თვალში ქმრის დაქვემდებარებული უნდა იყოს, თუმცა ფარულად „თავის ნებაზე ატაროს“. აღსანიშნავია, რომ ყველა ფოკუსურ ჯგუფში გაიჟღერა ფრაზამ „*კაცი თავია, ხოლო ქალი კისერი*“; როგორც იდეალურმა მდგომარეობამ.

კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლების ცოდნა არაერთგავროვანია, შედეგების მიხედვით, მასწავლებლების უმრავლესობა თეორიულად აღიარებს გენდერული თანასწორობის უპირატესობას და არ ეთანხმება გენდერულ დისკრიმინაციას. თუმცა, მათი შეხედულებები ტრადიციულია და პრაქტიკულად აღიარებს მამაკაცის დომინანტობას კარიერასა და ოჯახში.

რესპოდენტთა შეხედულებები გენდერულ როლებზე სქესის ბიოლოგიური გაგებიდან გამომდინარეობს, რომ ქალი შვილს აჩენს და მასზე ზრუნავს, შესაბამისად ის უნდა იყოს უმეტესწილად ისეთი სამუშაოს შემსრულებელი, რომელიც სხვებზე ზრუნვას გულისხმობს, მაგალითად საგანმანათლებლო სფერო, ხოლო პოლიტიკა, დიპლომატია, ეკონომიკა ეს საქმიანობის ისეთი სფეროებია, რომელიც მოითხოვს მეტ დროს და ენერჯიას და ქალს ბავშვების გაჩენისა და ოჯახის საქმეების კეთების საშუალებას აღარ უტოვებს, შესაბამისად იკლო მრავალშვილიანობამ და სხვ. თუმცა რესპოდენტები იმასაც აღიარებენ, რომ ქალს უნდა ჰქონდეს არჩევანი და „*თუ მას სურს მიანცდამინც საზოგადოებრივად აქტიური სამსახური, ამაში ხელი არ უნდა შეუშალოს გარემომ*“. ასევე, საინტერესო იყო მასწავლებელთა შეხედულებები კაცისა და ქალის არა მხოლოდ დასაქმების სფეროს, არამედ დასაქმების გრაფიკთან დაკავშირებით: უმრავლესობა თვლის, რომ ქალს დამსაქმებელი უნდა აძლევდეს დეკრეტულ შვებულებას, ხოლო, კაცთან დაკავშირებით აღნიშნული ფაქტი ღიმილის მომგვრელია. გამოკითხულები თვლიან, რომ კაცისთვის დამამცირებელი ან არაადეკვატურია შვილების, განსაკუთრებით ჩვილების მოვლა, შესაბამისად, მათი დეკრეტულ შვებულებაში გასვლა არ არის საჭირო. „*კაცს თანდაყოლილი რომ არ აქვს შვილის გაჩენის და ძუძუთი კვების ფუნქცია, ეს ბუნებრივად განაპირობებს მის ქცევას, ხოლო ქცევების აღრევა კაცს ფუნქციას დაუკარგავს საზოგადოებაში*“, აღნიშნა ერთერთმა რესპოდენტმა.

აღსანიშნავია, ყველა ჯგუფში მონაწილე რესპოდენტების ნათქვამიც, იმის შესახებ, რომ მასწავლებლობა რამდენადაც ნაკლებ შემოსავლიანი სამსახურია, ამიტომ მუშაობენ

„თვითონ აქ“ (ქალი მასწავლებლები), ხოლო ღირსების მქონე მამაკაცი სკოლაში ასეთ დაბალ ანაზღაურებაზე არ წავა და არც უნდა წავიდეს, მაგრამ ქალისთვის ეს არ არის დამამცირებელი.

ასევე, აღნიშნული იყო ისიც, რომ ქალი, რომელიც „განათლებას გადაყვება ოჯახის შექმნა ავიწყდება“, საზოგადოება ქალის ფუნქციასა და როლს გათხოვებას და შვილების გაჩენა-აღზრდაში ხედავს, „აღზრდოს შვილები, რომელიც სამშობლოს გამოადგება“. თუმცა პარადოქსის სახით გამოიკვეთა, რომ ის მოსწავლეები, რომლებსაც განათლებული, დასაქმებული, რეალიზებული მშობლები ჰყავთ, უფრო კარგად სწავლობენ და გამოირჩევიან სკოლაში ადაპტური ქცევით. მსგავსი შედეგები სხვა კვლევებშიც გვინახავს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გამოწვეული საზოგადოების, ამ შემთხვევაში მასწავლებლების სტერეოტიპული ხედვიდან გამომდინარე, ასევე იმაზე, რომ სქესის ბიოლოგიური (sex) და სოციალური (gender) ფაქტორების გამიჯვნა მათ ხშირად შეუძლებლად მიაჩნიათ.

კვლავ აქტუალურია საკითხი ქალის ზნეობრიობის შესახებ - რაც „კაცს შეიძლება ეპატიოს, ქალმა არ უნდა იკადროს“. შეკითხვაზე, თუ რატომ - უმრავლესობა ამბობს, „იმიტომ, რომ კაცია“, შესაბამისად ეს გვამღვეს საფუძველს დავასკვნათ, რომ მასწავლებლები, ისევე, როგორც საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ინარჩუნებენ მასკულიზური და პატრიარქალური საზოგადოების ხატს, სადაც წამყვანი, გადაწყვეტილების მიმღები, ფინანსურად ძლიერი, მმართველი კაცი უნდა იყოს, ამასთან სიტუაციიდან გამომდინარე ეპატიოს შეცდომები. მაგ. თუ ქალისთვის ქორწინებამდე სექსუალური კავშირის დამყარება უზნეობად ითვლება, მამაკაცისთვის ეს ღირსებაა, ანუ ქალის უფლება გააკეთოს არჩევანი და იყოს დამოუკიდებელი ერთმნიშვნელოვნად არ არის დაცული. შესაბამისად მოსწავლე გოგონებისთვის მასწავლებლები იგივე შეხედულებების გაზიარებას უჭერენ მხარს და აღიარებენ კიდევ, რომ ეს ღირებულებები დაცული უნდა იყოს მომავალ თაობებშიც.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ამ კვლევის შედეგები იმეორებს ბოლო წლებში ჩატარებული მსგავსი კვლევების შედეგებს¹, თუმცა ჩვენ გამოვყავით მეტად აქტუალური ჯგუფი, მასწავლებლები, რომელთაც ლეგიტიმური უფლება აქვთ მინიჭებული ასწავლონ მომავალ თაობებს, შესაბამისად სწავლება გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული საგნის გადაცემას, არამედ მოსწავლეთა პიროვნების განვითარებას, თვითშეგნების, საზოგადოებრივი დამოკიდებულებების, ხედვის, საზოგადოებაში ადაპტაციის და სხვა უნარების ჩამოყალიბებას, ამდენად აღნიშნული კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ სკოლებში მოსწავლე გოგონების მონაწილეობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი არჩევანის პატივისცემა, პიროვნული დამოუკიდებლობის განვითარება არ არის ხელშეწყობილი. მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ იდეალური ქალი ეს არის ცოლი, რომლის მეუღლეს მუშაობს, ხოლო თვითონ დაკავებულია ოჯახის საქმეებით და შვილების აღზრდით. ძალიან ძლიერი აღმოჩნდა

¹ ბერეკაშვილი, ნანა: გენდერული სოციალიზაციის ფაქტორები განათლების კონტექსტში; 2012; <http://www.iliauni.edu.ge/files/PDF3/Berekashvili.pdf>

სტერეოტიპი, რომ ქალი რაც არ უნდა განათლებული და საზოგადოებრივად აქტიური იყოს - კარგია, მაგრამ თუ მრავალშვილიანი დედაა, უკეთესია, ხოლო რამდენადაც ორივე ერთად რთული მისაღწევია, ქალისთვის ჯობია შეღავათები სამსახურში და უმეტესი დროის გატარება ოჯახში.

მასწავლებელთა უმრავლესობამ სწორად ახსნა გენდერული თანასწორობის ცნება, თუმცა როგორც შედეგები ცხადყოფს უმრავლესობა მაინც გენდერული როლების ტრადიციული განაწილების მომხრეა. ამასთან ერთად, მონაწილეებთან დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ისინი საქართველოში ქალთა ჩაგვრის წინაპირობად ძირითადად ტრადიციებსა და ქართულ მენტალიტეტს მიიჩნევენ.

კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც წინამდებარე ნაშრომში დეტალურადაა წარმოდგენილი, მათი დამოკიდებულებები ერთის მხრივ გამოწვეულია ცოდნის ნაკლებობით და არასწორი ინფორმაციის ქონით გენდერული თანასწორობის ფილოსოფიის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ იმის შიშით, რომ გენდერული თანასწორობის იდეა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს ქართულ კულტურულ და რელიგიურ შეხედულებებს და მომავალი თაობების აღზრდის პროცესს შესაძლოა დაემუქროს ეროვნული იდენტობის დაკარგვა. მათი აზრით, გენდერული თანასწორობის ფილოსოფია ასევე ეწინააღმდეგება რელიგიურ დოგმებს.

კვლევის მონაწილეთა გენდერული დამოკიდებულებები საკმაოდ არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში მონაწილეები ხაზს უსვამდნენ ქალის ჩაგრულ მდგომარეობას, როგორც საზოგადოებაში უარყოფით მოვლენას, დისკუსიის მსვლელობისას ისინი ქალის კაცისადმი დაქვემდებარებას ამართლებდნენ.

ქალი და ტრადიციები

დისკუსიებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა აზრით, გენდერული თანასწორობა შესაძლოა ერთის მხრივ იცავს ქალს ძალადობისგან, ჩაგვრისგან, აძლევს საზოგადოებაში თანამონაწილეობის საშუალებას, მაგრამ მეორეს მხრივ „ჩნდება საფრთხე“, რომ ქალი შესაძლოა „ზედმეტად თავისუფალი“ გახდეს, დაკარგოს „სოციალური პასუხისმგებლობა“ და „კაცს დაემსგავსოს“, ამიტომ ამ თემის ხმამაღალი პროპაგანდა, რესპოდენტების აზრით, შესაძლოა საფრთხის მომტანი იყოს.

„ტრადიციებმა გადაარჩინა საქართველო, ბევრი ლეგენდაა ცნობილი ქალისა და დედის თემაზე, ამიტომ დასაფიქრებელია, გვინდა, თუ არა ამ ტრადიციებზე უარის თქმა“.

თუმცა, დისკუსიისას გაიჟღერა იმ მოსაზრებაც, რომ ქალის ჩაგვრის და ამის ტრადიციებით გამართლების ფაქტები, ბევრია მათ გარშემო.

„ჩემი და მთელი დღე ქურასთან დგას, საჭმელებს აკეთებს, ქმარს მძაკაცები მოსდიან ყოველ საღამოს და უშლის სუფრებს და ემსახურება... სტუმრიანი ოჯახიაო, რა ვქნათო... მისმა დედამთილმა თქვა... ტრადიცია გვაქვსო... ჩემმა დამ სამუშაოს თავი დაანება, თუმცა კარგი ბუღალტერი იყო“

„ქალმა, რძლად, რომ შედის ოჯახი უნდა შეისისხლხორცოს ის ტრადიციები, რაც დახვდა ოჯახში, აბა როგორ... რძალი შემოვიდეს და თავის წესები დამიწესოს?!..“

რესპოდენტები, შეკითხვაზე, თუ რომელი ქართული ტრადიცია მიაჩნიათ თანამედროვე გადასახედიდან, ქალისთვის დამამცირებლად, ასახელებენ ქალის მოტაცების ტრადიციას, ამ ტრადიციას მასწავლებლები უარყოფითად აფასებენ. კლასის დამრიგებელი ხშირად უყვება მოსწავლეებს თავისი მოტაცებული შვილის ამბავს:

„ვუყვები ხოლმე როგორ მოიტაცეს ჩემი შვილი და როგორ დაბრუნდა უკან ანუ, როგორ ვეძებეთ, მივაგენით და წამოვიყვანეთ. და რატომ? იმიტომ, რომ თვითონ არ უყვარდა, ვიცოდით, რომ არ უყვარდა. სხვა ამბავი იქნებოდა რომ ყვარებოდა ... ეს მაგალითიც იმიტომ მოვიყვანე, რომ იყო კლასში ასეთი შემთხვევა, ბავშვი გათხოვდა, უკან დაბრუნდა ... და რაღაც თქვეს ბავშვებმა ... ასეთი საუბრები საჭიროა მოსწავლეებთან.“

მანკიერ ტრადიციებს შორის ასევე დასახელდა ქონების მხოლოდ ვაჟისთვის დატოვება. მონაწილეების აზრით მშობელმა უნდა გათვალოს და ქონება ორივე შვილს გაუნაწილოს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა მასწავლებლების უმეტესობა ქალიშვილობის ინსტიტუტს აღარ ემხრობა და განსაკუთრებით დადებითი და შესანარჩუნებელი ტრადიციების რიცხვს აღარ მიაკუთვნებს. თუმცა, ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობაა მასწავლებლებში, ისევე, როგორც ზოგადად საზოგადოებაში.

მასწავლებლებს, ქალის ფუნქცია ოჯახში - ტრადიციულად იყოს კარგი მზარეული მიაჩნიათ, როგორც მისაღები ტრადიცია, რომლითაც ქალი „ფასობს ნათესავებისა და ახლობლების წრეში“. კარგი ტრადიციების ნუსხაში აგრეთვე სახელდება ქართული ცეკვა, განსაკუთრებით ის მომენტი, როდესაც ქალი მანდილს აგდებს, რაც მონაწილეების თქმით კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ქალს მშვიდობისმყოფელის როლი აქვს ქართულ საზოგადოებაში და დიდი პატივისცემით სარგებლობს. ამგვარად, ქართული ცეკვა, როგორც მოკრძალებისა და პატივისცემის კარგი მაგალითია.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მოსწავლეებთან საუბარი ტრადიციების შესახებ, სასურველია ისტორიულ ჭრილში, თუმცა ქალის ტრადიციულ როლზეც არ შეიძლება უარყოფითი შეხედულებების ინიცირება მოსწავლეებში, რადგან შესაძლოა ამით წახალისდეს ქალის „უზნეობა“.

„შეიძლება ქალი გათხოვდეს და არ იყოს ქალწული, მაგრამ მე იმის პროპაგანდას ვერ გავაკეთებ, რომ ყველა ჩემი მოსწავლე ასე მოიქცეს, ეს უზნეობად მიმაჩნია და იმიტომ“

ხშირად სახელდება რელიგიური წეს-ჩვეულებები, როგორც ქალისა და კაცის ტრადიციული როლების გამტარებელი, ტაძარში შესვლის წესები და სხვა, შესაბამისად

ითვლება, რომ თუ ეს რელიგიაშიც და ტრადიციებშიც აისახა და დღემდე შემორჩენილია, „შესაძლოა ამგვარი დაყოფა მისაღებიც იყოს და არ ღირდეს ხელაღებით წინაპრების მიერ დატოვებულ ტრადიციებზე უარის თქმა, თუ აქამდე ეს ასე იყო“ - ამგვარი შინაარსის მქონე ფრაზებმა თითქმის ყველა ჯგუფში გაიჟღერა.

რესპოდენტები აღიარებენ, რომ ვაჟის ყოლა ოჯახში, უფრო პრიორიტეტულია ქართული საზოგადოებისთვის, ამის მაგალითად მოყავთ დღემდე აქტუალური „გვარის გამგრძელებლის სადღეგრძელო“. თუმცა, ის აზრიც მუსირებს, რომ გოგონას ყოლა, როგორც შემდგომში მომვლელის და მზრუნველის, ასევე მნიშვნელოვანია.

რესპოდენტები თანხმდებიან, რომ ზოგადად საქართველოში ქალისა და კაცის ქცევის შესახებ ტრადიციები მუდმივად დაცული იყო, რომ ქალის ქცევას განსაკუთრებული ტრადიცია ჰქონდა, საზოგადოების მოლოდინები ქალის მიმართ უფრო „მკაცრია“, მას უფრო არ პატიობს ბევრ რამეს საზოგადოება, ეს შეხედულებები უცაბედად არ შეიცვლება, ამიტომ მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლე გოგონებში ტრადიციული პიროვნების აღზრდას.

„მე, როგორც მასწავლებელი ვალდებული ვარ მივუთითო... მოვაქციო... ვასწავლო... გადავაკეთო.... თუ არ გაიგებს, თავის თავს დააბრალოს...“

ქალი და განათლება

კვლევის მონაწილეებს არ გამოუთქვამთ უარყოფითი დამოკიდებულება ქალის მიერ განათლების მიღების საკითხზე, თუმცა ისინი მიიჩნევენ, რომ განათლებული ქალი ხშირად ოჯახის შექმნისას აწყდება პრობლემებს. ქმრისა და ქმრის ოჯახის მიერ ცოლის/რძლის განათლებისადმი წინააღმდეგობას მონაწილეები იმით ხსნიან, რომ განათლებულ ადამიანს საზოგადოებასთან ურთიერთობის უფრო მეტი მოთხოვნილება უჩნდება, შესაბამისად უფრო რთულად კონტროლირებადია.

მოსაზრებებს შორის, ხშირია ბიოლოგიურად დეტერმინისტული მაგალითები, ერთ-ერთი მასწავლებელი კვლევის პროცესში ამტკიცებდა. რომ:

„ ტექნიკურ საგნებში კაცები უფრო ძლიერები არიან ...კი არიან მეცნიერები ქალები, მაგრამ ეს ცოტაა და დამოკიდებულია ზუსტად იმ ტვინის სფეროზე... კაცები წარმატებულები არიან ტვინიდან“

მონაწილენი აღნიშნავენ, რომ საქართველოში გენდერული დისკრიმინაცია განათლების მიღების თვალსაზრისით თითქმის არ არსებობს, თუმცა იმასაც აღიარებენ, განათლება ბიჭისთვის პრიორიტეტულია შემდგომი დასაქმებისა და ოჯახის მატერიალური შენახვის გამო, ქალი კი, ბოლო-ბოლო გათხოვდება და „ამით გადაირჩენს თავს“

„მე, როგორც დამრიგებელს, მითქვამს კლასში: ის, რომ გოგოა და არ სწავლობს, ბოლო-ბოლო გათხოვდება და შენ ბიჭი, რომ ხარ, წინსვლა ხომ გინდა-მეთქი“

მასწავლებლები აკეთებენ ერთგვარ დიფერენცირებას ბუნებრივ სილამაზესა და მიღებულ განათლებას შორის, მაგ. ხშირად ამბობენ, რომ საზოგადოებაში ადაპტაციისთვის ზოგს განათლება ეხმარება, ზოგს სილამაზე, ზოგს მშობლების მიერ დატოვებული ქონება და ა.შ.

„ყველა თაობაშია ლამაზი გოგო, ყველა ბიჭი, რომა მასზე შეყვარებული, ეხლაც გვყავს ასეთი სკოლაში (გვარს ასახელებს), ასეთს უპატრონოდ არ დატოვებენ, თუ სილამაზეს განათლებაც ერთვის, კი კაია, მარა...“

„ბებიაჩემი მეუბნებოდა, ქალი სილამაზით და პატიოსნებით ფასობსო... გადახედეთ, ასეთებს უფრო უმართლებთ.... კი გვყავს ათოსანი გოგოები, მაგრამ საზოგადოება ის შეიძლება ვერც გათხოვდეს“

„ქალისთვის მთავარი შვილია, უშვილო ქალი... მიტოვებულ, ჩამოქცეულ სახლს გავს...“

რესპოდენტები თვლიან, რომ ქალისთვის განათლება მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მაღალ პრიორიტეტს ოჯახის შექმნასა და შვილის/შვილების ყოლას ანიჭებენ.

ზოგიერთმა რესპოდენტმა დაასახელა, რომ საბჭოთა პერიოდში სკოლებში ისწავლებოდა საგანი „ეთიკა და ოჯახური ცხოვრება“, მათ კონკრეტულად ვერ გაიხსენეს, თუ რა იყო ამ საგნის მიზანი და შინაარსი იმ პერიოდში, თუმცა მიაჩნიათ, რომ ახლაც შეიძლება სკოლებში ისწავლებოდეს საგანი, რომელიც გაუცნობიერებელი ქორწინების, განქორწინების და სხვა რისკებს ააცილებს თავიდან მოზარდებს და ახალგაზრდებს.

მასწავლებლები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სწავლა გოგონების შემთხვევაში ერთგვარ კავშირშია პატიოსნებასა და ზნეობასთან. მაგალითად, გოგონა, რომელსაც მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, უფრო პატიოსანი და წესიერი, ხოლო გოგონები, რომლებიც არ სწავლობენ და გაკვეთილებს აცდენენ - რისკის ქვეშ არიან „დაადგნენ ცუდ გზას“. შესაბამისად, მასწავლებლები ხარისხიანი განათლების მიღებას, არ განიხილავენ, როგორც ქალისთვის რეალიზაციის, წარმატების, დასაქმების პერსპექტივას, არამედ, როგორც ზნეობრიობისა და პატიოსნების ნიშანს.

ქალი და ოჯახი

კვლევის შედეგების მიხედვით, მასწავლებლები დიფერენციაციას აკეთებენ ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქციებს შორის, თუმცა ასევე მიაჩნიათ, რომ ზოგიერთი ფუნქცია მათ შესაძლოა თანაბრად აიღონ.

რესპოდენტები იდეალური ოჯახის აღწერისას მამაკაცს წარმოაჩენენ, როგორც ეკონომიკურად უფრო ძლიერს, სამსახურის საქმეებით დაკავებულს, რომელიც ერთგვარი „პატრონია“, „იმედია“ ოჯახის. ქალისთვის კი უფრო შესაფერისად ბავშვების მოვლა, საოჯახო საქმეებით დაკავება მიაჩნიათ.

„თუ კაცი რეცხავს და ალაგებს, მაშინ ცოლი რას აკეთებს? დადგება საკითხი, რომ ცოლი ვერ დგას თავის დონეზე“

ბავშვების მოვლასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საკითხებს რესპოდენტებს ასევე ქალის ფუნქციას უკავშირებენ, როგორცაა მათი კვება, სადილის მომზადება, დარეცხვა, თუმცა მიაჩნიათ, რომ მაგალითად ბავშვის სკოლაში ტარება ან სადმე წაყვანა კაცისთვის დასაშვებია და მის როლს არ აკნინებს.

„არიან მამები, რომლებსაც დაყავთ ბავშვები სკოლაში, ეს არ ჩანს ცუდად, მაგრამ მაინც ჩნდება კითხვა, რომ დედას რატომ არ დაჰყავს...? ხმამაღლა შეიძლება არ დაისვას ეს საკითხი, მაგრამ საქმე საქმეზე, რომ მიდგეს, ყველა დაინტერესდება“

მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ მამებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა შვილების მეცადინეობის პროცესში, მათ წვლილი ოჯახში და გენდერული თანასწორობის კუთხით, ამ მხრივაც შესაძლოა შეიტანონ.

ბაზარში და საყიდლებზე სიარული რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ ასევე თანაბრად შეიძლება იყოს გადანაწილებული, საჭმლის მომზადება კი ქალის ფუნქციაა, შეიძლება მამაკაცმა, თუკი ეხერხება ზოგჯერ მოამზადოს რაიმე კერძი და ერთგვარი ეგზოტიკაცაა, მაგრამ ამას რეგულარული ხასიათი ვერ ექნება.

საინტერესოა, რომ ქალის დიასახლისობასთან დაკავშირებით გაჟღერდა ასეთი მოსაზრებაც:

„მამებს უფრო ვაჟები უნდათ, ქალს ხშირად უნდა გოგო ჰყავდეს, რომ წამოიზრდება, საოჯახოს საქმეებში მიეხმაროს“

რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ ქართულ ოჯახში ქალის ფუნქცია არა მხოლოდ ბავშვების მოვლა, დალაგება-დასუფთავება, მზარეულობაა, არამედ მას ხშირად უწევს მაგ. ოჯახში მყოფი ავადმყოფის მოვლა, აღნიშნული ფუნქციაც ქალის საქმეა ოჯახში. შესაბამისად, მას უკვე შესაძლოა ნამდვილად აღარ ჰქონდეს იმის რესურსი და მონდომება, რომ საკუთარ განათლებაზე, კარიერაზე იზრუნოს.

რესპოდენტების აზრით, როლების ამგვარი გადანაწილება ოჯახში უფრო ხშირად ბედისწერაა, რომელსაც ქალი ეგუება, შესაძლოა სულაც არ მოწონდეს, მაგრამ „ოჯახის ღირსების“ საკითხია:

„ზოგჯერ ქალი იმდენად იღლება ამდენი დაუფასებელი შრომით სახლში, რომ უმეტესწილად სულ ცუდ ხასიათზეა და ეს ბავშვებზეც გადადის“

ერთხელ აღინიშნა ამგვარი მოსაზრებაც:

„გადაყვება ქალი ბიჭებს, შემოვა რძალი და თავდაყირა აყენებს ყველაფერს, შულღს აჩენს“

რესპოდენტები ასევე განასხვავებენ მშობლების დამოკიდებულებას აღზრდის პროცესში ვაჟებისა და გოგონების მიმართ, მიაჩნიათ, რომ ბიჭი კაცურად უნდა გაიზარდოს, მეტი სულიერი სიმტკიცე ჰქონდეს, რაინდობა, ვაჟკაცობა. ძალიან ხშირად მასწავლებლები ამბობენ, რომ ვაჟკაცობა სულაც არ ნიშნავს ქალზე ძალადობას, პირიქით, გამორიცხავს ვაჟკაცობას, და თუ გვინდა ძალადობას და ქალებზე ჩაგვრას ვებრძოლოთ, ბიჭებს ვაჟკაცობა უნდა განუვითაროთ.

მონაწილეთა შორის გამოიკვეთა აზრი, რომ მიუხედავად იმისა, რომ „ნორმალურად მოაზროვნე“ ქალი გენდერული თანასწორობის მომხრე უნდა იყოს, არსებობენ ისეთებიც, რომლებიც კმაყოფილნი არიან თავისი ჩაგრული მდგომარეობით. ასეთი ქალები მათი აზრით, ხშირად ოჯახში შემოსულ სხვა ქალებსაც (მაგალითად რძლებს) იგივე პრინციპს ჩააგონებენ.

მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხშირია, როდესაც ქალები ოჯახის გამო ბევრ რამეზე (კარიერა, პირადი ცხოვრება, მოგზაურობა) უარს ამბობენ, ამის არგუმენტად მათ მოჰყავთ არა მხოლოდ სოციალური ფონი და საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ზეგავლენა, არამედ დედობრივი ინსტიქტი, რომელიც სხვაზე ზრუნვას, „ბუდის მოწყობას“ შინაგანად განაპირობებს.

მონაწილეთა უმრავლესობა ქალის როლს ოჯახში, როგორც მზრუნველის, დამხმარის, განიხილავს, როგორც ღირსების საკითხს, რომ მან სამაგიეროდ ყველაზე „დიდი ჯილდო მიიღო“ ახლობლების, ნათესავის თვალში, როგორც ზნეობრივმა ადამიანმა.

რესპოდენტები აღიარებენ, რომ საქართველოში ქალს ოჯახის შენარჩუნების გამო ბევრი წვალების, ტანჯვის ატანა უწევს, ზოგჯერ ფიზიკური ძალადობისაც, მაგრამ სამაგიეროდ პატიოსნებას და ტრადიციებს ინარჩუნებს.

„ქალმა უნდა მოითმინოს კიდეც, ბიჭების დედა ვარ და ისტერიკებს ვერ ავიტან“

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები სკოლის ინსტიტუტს ვერ ხედავენ როგორც ფუნქციურს, რათა მან გავლენა მოახდინოს ამ პრობლემების აღმოფხვრაში.

ქალი და კარიერა

რესპოდენტები თვლიან, რომ პროფესიის დაუფლება და კარიერული წინსვლა კაცისთვის უფრო მეტადაა პიროვნული ღირსებისა და თვითრეალიზაციის სფერო, ვიდრე ქალებისთვის.

„კაცი თუ არ მუშაობს, შეიძლება გალოთდეს“

„უმუშევარი კაცი შეიძლება გახდეს ნარკომანი და ქალი ნაკლებად“

„ქალი ბავშვების მოვლითაც გაიხარებს, სულ რომ არ იმუშაოს“

რესპოდენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ ხშირია მათ გარშემო ფაქტები, როდესაც გათხოვების შემდეგ ქალს აიძულებენ უარი თქვას კარიერულ წინსვლაზე:

„ჩემ მეგობარს, მევიოლინეს აიძულებდა ქმარი და დედამთილი, რომ მას უარი ეთქვა პროფესიაზე... გამოვიდა, რომ მან პროფესია აირჩია და ოჯახი დაენგრა“

რესპოდენტების ნაწილი გენდერულ უთანასწორობას ხედავს. როგორც სოციალური უთანასწორობის ნაწილს, ისინი ცალკე გამოყოფენ და თვლიან, რომ პირველ რიგში სოციალური პრობლემები უნდა მოგვარდეს, ხოლო შემდეგ უნდა ვიზრუნოთ გენდერულ თანასწორობაზე:

„აი, მე ვარ ქარხნის დირექტორი და მოვიდა ჩემთან კაფანდარა გოგო და ჯან-ღონით სავსე კაცი, ორივე გაჭირვებულია, უნდათ სამსახური, მე ცხადია, უპირატესობას მივანიჭებ ჯან-ღონით სავსე კაცს.“

საინტერესოა, რომ ფინანსური დამოუკიდებლობის აუცილებლობასთან ერთად, დასახელდა ქალის თვითრეალიზების საკითხიც, როგორც მიზეზი იმისა თუ რატომ შეიძლება ქალს მუშაობა სურდეს:

„კი ფული საჭიროა, მაგრამ თვითრეალიზებული თუ არ არის ადამიანი, ეს იწვევს სტრესს ... დილით რომ იღვიძებ გინდა ჩაიცვა, გახვიდე, ადამიანებთან გქონდეს კონტაქტი, რაღაც აკეთო ... იმისთვის ხომ არ დაიბადე მარტო, რომ ქურასთან რაღაც აკეთო ...“

რესპოდენტები ამავე დროულად ხაზს უსვამენ მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ არსებულ ორმაგ სტანდარტებს. მათი თქმით, მამაკაცები ფსიქოლოგიურად რთულ მდგომარეობაში ვარდებიან, როცა ვერაფერს აკეთებენ და ამავე დროს, ისიც არ სიამოვნებთ, რომ ქალს შემოსავალი შემოაქვს ოჯახში, რადგან ეს მის თავმოყვარეობას ლახავს. ერთის მხრივ სახელმწიფო არ ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს, მეორეს მხრივ კაცებს არ სურთ დაბალ ხელფასიან პოზიციებზე მუშაობა, მაშინ, როცა ამას ძალიან აქტიურად აკეთებენ ქალები ეკონომიკური კრიზისის დროს. მონაწილეების აზრით ქალმა ამ საუკუნის გამოწვევებს გაუმლო იმიტომ, რომ სხვებზე ზრუნვის დიდი ვალდებულება აქვს:

„საზოგადოებას გონია, რომ პატრიარქატია, მაგრამ ნამდვილად არ არის, იმიტომ, რომ 90-იანმა წლებმა ქალების მხრებზე გადაიარა და ქალების კისერზე გადაიარა, ახლაც ოჯახებიდან უმეტესობა ქალია წასული საზღვარგარეთ, ქალების როლი ... ქალის როლი, შეურაცხყოფას არ ვაყენებ არავის, ქალის როლი იკისრა მამაკაცმა“

მონაწილეები მიიჩნევენ, რომ იშვიათი გამონაკლისების გარდა, ქალმა „კაცის ფუნქციაც“ იკისრა და „თავისივე დაიტოვა“. რამდენიმე მონაწილე მიიჩნევს, რომ სახლში საქმის თანასწორი გადანაწილებისათვის დადებითი წინაპირობა მამაკაცებისთვის სავალდებულო დეკრეტული შვებულების შემოღება შეიძლება გახდეს. როგორც ვხედავთ, მონაწილეები თანხმდებიან, რომ სახლის საქმე ქალსა და კაცს შორის უნდა ნაწილდებოდეს, თუმცა მიდრეკილნი არიან ეს საკითხი მაინც ბავშვის მოვლის მიმართულებით განიხილონ.

რესპოდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ ქალმა ნამდვილად დაამტკიცა, რომ მას შეუძლია განათლების მიღებაც, მუშაობაც და არანაკლებ ნაყოფიერი შრომა, მაგრამ მაინც ერთგვარი ტრაგედიაა, რომ ქალს საქართველოში ამდენი რამის კეთება უწევს.

ამასთანავე, მეუღლეების ერთნაირი განრიგით მუშაობის მომხრენი მონაწილეები არ არიან, რადგან ამ შემთხვევაში ბავშვებს აღარ ექცევათ ყურადღება.

დასაქმების სფერო გენდერული სტერეოტიპებით განსაკუთრებით დახუნძლული საკითხია. ამას ჩვენი კვლევის რამდენიმე მონაწილეს ცხადად ხედავს. ერთ-ერთი პედაგოგი მიიჩნევს, რომ „მამაკაცურ პროფესიებში“ მყოფი ქალებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ასევე წარმოადგენს ქალთა დისკრიმინაციასა და უფლება დარღვევას. ამასთან ერთად, როდესაც საქმე ოჯახში საქმის გაკეთებამდე მიდის, მამაკაცის შემთხვევაში ქალების უმეტესობა ამას დაუშვებლად მიიჩნევს, იმ გამონაკლისების გარდა, თუკი მეუღლე ავად არის და ქმარი პატივისცემის ნიშნად უვლის მას და აკეთებს სახლის საქმეს. არსებობს გამონაკლისი ოჯახებიც, სადაც სახლის საქმის ნაწილს, კაცები აკეთებენ, თუმცა ეს ან საჭმლის კეთებას ეხება ან მამაკაცების მიერ საკუთარი ტანსაცმლის თავად გარეცხვას და დაუთოვებას, რადგან ცოლ-შვილის გაკეთებულს „არ ენდობიან“.

რესპოდენტთა მცირე ნაწილი თვლის, რომ პროფესიები არ უნდა იყოს გენდერულად დაყოფილი, თუმცა რაღაც შემთხვევებში, მაგალითად ტაქსის მძღოლობა, შეიძლება ქალისთვის უფრო საშიში იყოს, რადგან ასეთი პროფესიები ქალს ძალადობისადმი მოწყვლადს ხდის.

მონაწილეები ასევე იხსენებენ, რომ არსებობს სტერეოტიპები იმის შესახებ, რომ ქალები ცუდი მძღოლები არიან, სწრაფად ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს და ზოგადად სუსტი არსებები არიან, რომლებიც ვერასოდეს შეწვდებიან მამაკაცის სიმაღლეებს. ამ სტერეოტიპებს ისიც ემატება, რომ ქალის მიერ ოჯახის რჩენა აღიქმება, როგორც ქალის მიერ ძალაუფლების ხელში აღება. მონაწილეების აზრით ეს მოსაზრებები მარტივად მიუთითებს იმ რეალობაზე, რომ კაცები დღესდღეობით ქალებზე უფრო სუსტები აღმოჩნდნენ.

მონაწილეები გენდერულ სტერეოტიპებს მიიჩნევენ იმის წინაპირობად, რომ მასწავლებლების უმეტესობა სწორედ ქალია. მათი აზრით, სკოლაში მამაკაცების მცირე რაოდენობა, ერთის მხრივ, იმით არის განპირობებული, რომ მამაკაცს, როგორც „ოჯახში შემომტანს“ ხელფასი არ ჰყოფნის, ხოლო მეორეს მხრივ, იმით, რომ მზრუნველობასთან დაკავშირებული პროფესიები, ქართული მენტალიტეტის მიხედვით, უფრო ქალის როლს მიეკუთვნება და არა - კაცის.

ქალი და საზოგადოება

კვლევის მსვლელობისას გამოიკვეთა აზრი, რომ სინამდვილეში საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას ქალები ქმნიან და ეს აუცილებელი არაა „ზედაპირზე იდოს“. ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში ქალმა ნახა გამოსავალი, იმას მიანიშნებს, რომ ეკონომიკურად ძლიერი ქალი დაჩაგრული ვერ იქნება. მონაწილეები ასევე საუბრობენ იმაზე, რომ ქართველებს ქალებისადმი მოწიწება „გენეტიკურ კოდში“ აქვთ ჩადებული, და რომ ქართული ტრადიციები სწორედ თანასწორობის პრინციპზეა დამყარებული. მონაწილეები თვლიან, რომ ქალი სუსტია და ვერასოდეს გაუთანაბრდება მამაკაცს, თუმცა სულიერად დაჩაგრული სულაც არ არის. ეს დისკურსი გამოიყენება იმის გასამართლებლად, რომ ქალების მიღწევები საზოგადოებაში თითქმის არ ჩანს.

ასევე აღედგება რელიგიური არგუმენტები, რომლებიც ამართლებს გენდერულ უთანასწორობას:

„ღმერთმა კაცი შექმნა პროგრესისთვის და ქალი პროგრესის ხელშემწყობად. აქ ჩაგრულზე და მჩაგვრელზე არ არის“.

თუმცა, გამოიკვეთა აზრიც, რომ (#3 ფოკუს ჯგუფი) ზოგადად ქალებს, უფრო მეტი საქმე და ფუნქცია აქვთ სინამდვილეში, საქართველოში კაცები ოჯახის საქმეებს ნაკლებად ან თითქმის არ ინაწილებენ, შესაბამისად, თუ ქალი მუშაობს, მას სამსახურის გარდა, კიდევ სახლის საქმეების კეთებაც უწევს, ამიტომ, ამის ფონზე ქალმა არ უნდა აიტანოს ჩაგვრა და ძალადობა. რესპოდენტებმა ისაუბრეს ორმაგ სტანდარტებზეც ცოლ-ქმრულ ერთგულებასთან მიმართებაში. მიაჩნიათ, რომ ეს მენტალიტეტი ოჯახში ყალიბდება, როდესაც მშობლები უპირატესობას ვაჟს ანიჭებენ. ბავშვების გაზრდა თანასწორობის მენტალიტეტით ოჯახიდან უნდა ხდებოდეს. თუმცა, სახელმწიფომ ამაში ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს.

გენდერული სტერეოტიპების ხელშემწყობ ინსტიტუციებში დასახელდა: ტრადიციები, სოციალური და ეკონომიკური ყოფა, რელიგია, ჩარჩოები, რომლებშიც ადამიანები ექცევიან.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც რელევანტურად მივიჩნით მონაწილე პედაგოგების გენდერული დამოკიდებულებების გამოსაკვეთად, გოგონების და ბიჭების აღზრდის გენდერული ასპექტები გახლავთ. მონაწილეები არ თვლიან, რომ გოგონები და ბიჭები განსხვავებულად უნდა აღიზრდებოდნენ, თუმცა აქვე დასძენენ, რომ *”გოგონა უფრო ფაქიზია და დედამ შეიძლება უკეთ დაარეგოს”*, ეს განსაკუთრებით ეხება გარდატეხის ასაკს. ამ შემთხვევაში, გადაადგილების შეზღუდვა გამართლებულია უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან გოგონები უფრო მოწყვლადები არიან. აქვე გამოიკვეთა აზრი, რომ გოგონების და ბიჭების თვისებები განსხვავდება ერთმანეთისგან, შესაბამისად აღზრდის პრინციპი ერთი უნდა იყოს, თუმცა ამავე დროს ამ სპეციფიკასაც უნდა ითვალისწინებდეს.

კვლევაში მონაწილე პედაგოგების უმეტესობა მიიჩნევს, რომ გენდერული სტერეოტიპები პირველ რიგში ქალის პირადი ცხოვრების კონტროლს უკავშირდება. ქართულ მენტალობაში ქალს პირადი ბედნიერების მოწყობა არ შეუძლია ისე თუ არ დაეკითხა ყველას გარშემო; ამიტომ ხშირად ითვლება, რომ თუ ქალს მოძალადე ქმარი შეხვდა მან უნდა ითმინოს. აქედანვე მოდის სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ კაცს მეტი ეპატიება, ვიდრე ქალს.

მონაწილეების აზრით, ქალის კაცისადმი მორჩილების მოთხოვნას შემდეგი სტერეოტიპებით ამართლებენ ხოლმე: კაცს უფრო სწრაფი რეაქცია აქვს, ქალი კი „თმა გრძელი და ჭუასუსტია“ ქალის ტვინი ნაკლებად რეაგირებს კრიტიკულ სიტუაციაში; ქალი ინფანტილური და ქარაფშუტაა.

უარყოფითი სტერეოტიპების საპასუხოდ, #3 ფოკუს ჯგუფში თვლიან, რომ ქალს დიპლომატიის ნიჭი და მგრძობიარობა გააჩნია, მას აქვს უნარი შეიმუშაოს ტაქტიკა და გააჩნია ინტუიცია, რომელიც მამაკაცებს არ აქვთ. მიუხედავად ამისა პოლიტიკაში სქესთა თანაფარდობა არ გვაქვს და მონაწილეთა აზრით ქალი პოლიტიკოსების რაოდენობა აუცილებლად უნდა გაიზარდოს. ისინი სამწუხაროდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ *„ქალებს არაფერი ეტყობათ იმისა, რომ ქალი პოლიტიკოსები გვყავს“*.

კვლევაში მონაწილე პედაგოგები თვლიან, რომ გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი გამოვლინება ის სირცხვილიც არის, რომელსაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები განიცდიან. მათი აზრით მოძალადის უკეთ დასჯის მექანიზმი უნდა არსებობდეს.

მოსწავლეების დახასიათება გენდერული ნიშნით

საქმიანობის გენდერული ნიშნით გაყოფა და ქცევის გენდერული შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეები უარყოფენ მოსწავლეების გენდერული ნიშნით ერთმანეთისგან გამორჩევას, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გარკვეულ სიტუაციებში მოსწავლეებს შორის საქმიანობის განაწილება, სწორედ ამ ნიშნით ხდება (მაგ.: მერხის გადადგმა - ბიჭები, საკლასო ოთახის დალაგება - გოგონები), თუმცა

მასწავლებლების აზრით ეს არ კეთდება რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით. საქმის ამგვარად განაწილება არ აღიქმება გენდერული სტერეოტიპების ხელშემწყობად. თუმცა აქვე საჭიროა იმაზე ყურადღების გამახვილებაც, რომ ზოგიერთი პედაგოგი გენდერული სტერეოტიპების არსებობას უარყოფითად არ აფასებს. მაგალითად, გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ბავშვებს ერთმანეთისადმი პატივისცემით მოპყრობას სწორედ გენდერულ განსხვავებებზე დაყრდნობით:

„თუ დათოს და ნანას უნდა მივცე დავალება ... მე აუცილებლად დათოს ვაძლავლებ, რომ ნანას პატივი სცეს იმიტომ, რომ ნანა არის ქალი ... ახლა აქ გენდერული თანასწორობა არაფერ შუაშია, ადამ და ევადან ესე მოდის, რომ უნდა სცეს პატივი, ხო? იმიტო, რო ის ქალია, იმიტო, რო ის დედა უნდა იყოს, იმიტო, რო როგორ შეილება ქალმა და კაცმა ერთნაირი იტვირთოს? შეუძლებელია.“

მასწავლებლები არ ადასტურებენ, რომ ბიჭების მხრიდან გოგონების ჩაგვრის ფაქტები ფიქსირდება, ხოლო თუ ხდება ამას არა გენდერულ უთანასწორობას, არამედ მოზარდებისათვის ზოგადად დამახასიათებელ საქციელს მიაწერენ. აღინიშნა ისიც, თუ როგორ შეიცვალნენ დღესდღეობით გოგონები და რომ ისინი სხვებს, მათ შორის ბიჭებს დაჩაგვრის უფლებას არ აძლევენ, უფრო მეტიც კლასში გოგონა ლიდერებიც კი გვხვდებიან. თუმცა ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ვაჟკაცობის და „რაინდობის თემა“ უფრო ბიჭებისთვის არის აქტუალური. მონაწილე ამას თავის ცნობიერებას აბრალებს და დასძენს,

„... რომ დავინახო ჩემი მოსწავლე ბიჭი გოგონასთან ერთად თოჯინათი თამაშობს, ალბათ ნამდვილად მივუთითებ ...“

პედაგოგების აზრით, სწავლების პროცესში, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არა ქალის ან კაცისადმი, არამედ ადამიანისადმი პატივისცემა. მონაწილეთა აზრით პედაგოგი უნდა საუბრობდეს გენდერულ საკითხებზე მოსწავლეებთან, თუნდაც კლასის საათზე. ზოგი აღნიშნავს, რომ „გოგონებისა და ბიჭების ურთიერთობებზე“ ხშირად საუბრობენ, თუმცა, როგორც წესი, ეს საუბარიც ტრადიციული მიდგომების (მაგ.: გოგონების წინ გატარების და პატივისცემის) ჭრილში წარიმართება ხოლმე.

საგნების ათვისება და აკადემიური მოსწრება

მონაწილეთა უმეტესობა თვლის, აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით გოგონები უფრო წარმატებულები არიან. ეს მათი თქმით, შრომის მოყვარეობიდან გამომდინარეობს, ასევე, იქიდან, რომ ბიჭებს უფრო აქვთ მიდრეკილება „სიზარმაცისა და ქუჩისკენ“. ასევე, ბიჭებს ერიდებათ ცოდნის გამოჩენა და დაფასთან გამოსვლა მაღალ კლასებში, ეს არ აღიქმება პრესტიჟულად სხვა ბიჭების წინაშე, ამიტომ მასწავლებელი ახალისებს და გამონაკლისს უშვებს, რათა მაღალი ნიშანი დაუწეროს. #1 ფოკუსს ჯგუფის მონაწილე ერთ-ერთმა პედაგოგმა თავისი გამოცდილებიდან მოყვა მაგალითი, როდესაც ძალიან ნიჭიერ ბიჭს, რომელიც ცოდნას ღიად ვერ ავლენდა, რადგან სხვა ბიჭების რცხვენოდა, საშუალება მისცა შემაჯამებელ გამოცდებზე გამოვლენილი ცოდნის ხარჯზე მთელი წელი დაფასთან არ გაეყვანა, რის შედეგადაც მოსწავლემ დადებითი შეფასება მიიღო. დათმობის

მსგავსი შემთხვევები გოგონა მოსწავლეებთან მიმართებაში, არცერთ ფოკუს ჯგუფში არ გამოვლენილა.

თუმცა, რაც შეეხება მასალის ათვისებას და შემეცნების ნიჭს, აქ აზრი ორად გაიყო. ზოგიერთ მონაწილეს მიაჩნია, რომ ტექნიკურ საგნებში, მაინც ყოველთვის ბიჭები ლიდერობენ. ამის დასტურად მონაწილეებს მოჰყავთ კვლევები (თუმცა კონკრეტულად ვერ ასახელებენ, რომელი) იმის თაობაზე, რომ მამაკაცების ტვინს ქალთან შედარებით ბევრი უპირატესობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მონაწილის თქმით:

„ქალის ტვინი მრავალი მიმართულებით მუშაობს ერთდროულად, მამაკაცისა უფრო დიდხანს ინახავს ინფორმაციას და ამგვარად ქალის ტვინი მას ჩამოუვარდება“.

სულ სხვა სურათია #3 ფოკუს ჯგუფში, სადაც თვლიან, რომ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ბიჭებს უფრო „ტექნიკური ტვინი“ აქვთ, სიმართლეს არ შეესაბამება. პედაგოგები ამ ჯგუფში თვლიან, რომ ადამიანი იმას სწავლობს კარგად, რისი ნიჭიც აქვს. ამ პოზიციას დანარჩენ ჯგუფებშიც გამოუჩნდა რამდენიმე მხარდამჭერი:

„არ ვიცი რამე კვლევით დადასტურდა თუ არა ეგ, რომ კაცს ტექნიკური ტვინის აქვს ... მაგრამ ტექნიკური ტვინი არის სწრაფი გათვლის უნარზე და ეგ ქალმა გამოამუღავნა ბევრ რაღაცაში ... ქალს უფრო კარგი ხედვა აქვს ყველაფრისადმი, ვიდრე კაცს, უფრო პრაქტიკულია ...“

#4 ჯგუფშიც გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ ბიჭებისთვის უფრო ადვილი ასათვისებელი ტექნიკური საგნებია. ამის მიზეზად დასახელდა ის, რომ კაცი უფრო ძლიერია და ის, რომ განსხვავებული ჰორმონული ნაკრები სხვადასხვანაირი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ადამიანებში. მიუხედავად ამისა მონაწილეები დასძენენ, რომ გოგონებისა და ბიჭების პოტენციალის სრულად გამოვლინებას სწორედ სკოლამ და მასწავლებელმა უნდა შეუწყოს ხელი. მონაწილეების აზრით მასწავლებელს შეუძლია ისეთი ღონისძიება დაგეგმოს, ან ისეთი ჯგუფური სამუშაო დაგეგმოს, რომლის მეშვეობითაც შეძლებს ბიჭებს დაანახოს, რომ გოგონების გარეშე საქმეს ვერ შეასრულებენ. ასეთი მიდგომა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ისევე, როგორც კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურაში შესამჩნევი გენდერული დისბალანსია, რაც აუცილებლად ილექება ადამიანის ცნობიერებაში.

დამოკიდებულება ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანებისადმი

იქიდან გამომდინარე, რომ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა მჭიდროდ არის საზოგადოებაში არსებულ გენდერულ სტერეოტიპებთან დაკავშირებული, ჩვენ გადავწყვიტეთ შესაბამისი შეკითხვებით გამოგვევლინა ა) რამდენად ინფორმირებულები არიან მასწავლებლები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების შესახებ ბ) როგორ ტაქტიკას მიმართავენ, თუკი

მოსწავლეს ამ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია აინტერესებს გ) როგორ ეპყრობიან მოსწავლეს, რომელიც მათი აზრით შეიძლება გეი, ლესბოსელი ან ტრანსგენდერი იყოს და რომელსაც ამ ნიშნით შეიძლება სხვა ბავშვები ჩაგრავენ.

ხუთივე ფოკუსური ჯგუფის შემთხვევაში მონაწილეთა უმეტესობამ გამოავლინა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საკითხებთან მიმართებაში სწორი ინფორმაციის ნაკლებობა, ხოლო მიმდებლობის ხარისხიც უმეტესწილად საკმაოდ დაბალი აღმოჩნდა.

#1 ფოკუსურ ჯგუფში მყოფი მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ჰომოსექსუალობა გადახრაა, თუმცა ზოგიერთი მათგანი მას თანდაყოლილად მიიჩნევს, ზოგი კი - შეძენილად. მასწავლებლები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ მოსწავლის მხრიდან დასმული არცერთი შეკითხვა, მათ შორის ჰომოსექსუალობაზე, უპასუხოდ არ უნდა დავტოვოთ. ისინი მიიჩნევენ, რომ ზიზღი და ძალადობა „ასეთი ადამიანებისადმი“ გაუმართლებელია და რომ ბავშვებს უნდა ავუხსნათ თუ რატომ არის ჰომოსექსუალობა „გადახრა“. ამასთანავე, პედაგოგები ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებისათვის იმის ახსნისას, თუ რა არის ჰომოსექსუალობა, გამოიყენებდნენ/გამოუყენებიათ ისეთი შედარებები, როგორცაა „მუტანტებიც ხომ იბადებიან“, „ანომალური ტვინი, რომლის გადაკეთებაც არ შეიძლება“. ერთ-ერთი მასწავლებელი იყენებს სიტყვა „ავადმყოფებს“ და მოსწავლეებთან ლაპარაკის დროს შემდეგნაირად გააკეთებდა საკუთარი აზრის ფორმულირებას:

„უპასუხებ, რომ ბუნებაში, მაგალითად, ხშირად ჩნდება ორთავიანი გველიც კი ... ჩნდება რაღაცა მუტანტებიც, ჩნდება გადახრებით თუნდაც ადამიანები ... ესენიც ასე არიან ... ანომალიაა და ავადმყოფობა ... არ შეიძლება ავადმყოფი დავჩაგროთ.“

მიუხედავად ძალადობის დაგმობისა, ყველა იზიარებს აზრს, რომ ლგბტ ადამიანების საჯარო გამოსვლები საქართველოში მიუღებელია. მონაწილეების დიდი ნაწილი თვლის, რომ ლგბტ ადამიანები საქართველოში არ იჩაგრებიან და ჯერ კიდევ საბჭოთა დროს, თბილისში ყველამ იცოდა „ასეთების“ შესახებ, თუმცა მათ არავინ არ უწევდა დისკრიმინაციას.

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში, ზოგიერთი მონაწილის მხრიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა (#4 ჯგუფი) ბავშვებისათვის გენდერულად სეგრეგირებული თოჯინებისა და სათამაშოების საკითხს, როგორც ”სწორი” გენდერული ქცევების განვითარების საწინდარსა და ამგვარად, ჰომოსექსუალობის თავიდან აცილების საშუალებას. ზოგიერთი პედაგოგი თვლის, რომ ამა თუ იმ ტიპის თოჯინებისადმი მიდრეკილება ჰორმონული განვითარების, ანუ რაღაც ბუნებრივის შედეგია. თუმცა ამავე დროს დასძენს, რომ უფრო მისაღებია გოგონა თამაშობდეს ბიჭებისთვის განკუთვნილი სათამაშოებით, ვიდრე პირიქით. გოგოს შემთხვევაში, მასკულიზური ქცევა და თვისებები „ქალაბიჭობას“ და მის განვითარებაში გარდამავალ პერიოდს ბრალდება, მაშინ, როცა ბიჭის შემთხვევაში ამას „გადახრას“ უკავშირებენ და უფრო ტრაგიკულად აღიქვამენ.

სწორი ინფორმაციის დეფიციტის გამო, პედაგოგები კვაზი-მეცნიერულ დასკვნებს აკეთებენ ჰომოსექსუალობის წარმომავლობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მონაწილის აზრით ბავშვის სამომავლო სექსუალური ორიენტაცია დამოკიდებულია მუცლადყოფნის პერიოდში დედის განწყობაზე, თუ ის გოგოს ატარებს მუცლით, მაგრამ ბიჭის ყოლა სურს და ორსულობისას ამაზე ბევრს ფიქრობს, დიდია ალბათობა იმისა, რომ მისი შვილი ლესბოსელი იყოს და „ბიჭს დაემსგავსოს“. ამ შემთხვევაში ნაყოფის სქესის წინასწარ გაგების საშუალება, ჰომოსექსუალობის ერთგვარ პრევენციად აღიქმება, რადგან ამ დროს ქალს შეუძლია თავისი ფიქრი ნაყოფის სქესის შესაბამის გენდერულ როლებზე მომართოს.

#3 მესამე ფოკუს ჯგუფის მონაწილეების თქმით, მოსწავლეები ჰომოსექსუალობაზე შეკითხვებს არ სვამენ, რადგან ამაზე საკმაოდ არიან ინფორმირებულნი. შეკითხვის დასმის შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა აუხსნას, რომ ჰომოსექსუალობა „ერთი სქესის ადამიანებს შორის სექსუალურ კავშირს“ გულისხმობს. მასწავლებლებს შორის მცირე კამათიც გაიმართა, როდესაც ერთმა თქვა, რომ ჰომოსექსუალობა გადახრაა, მეორემ კი შეუსწორა, რომ ეს გადახრა არ არის და ბავშვებთან ამის თქმა არ შეიძლება, რადგან „გადახრა“ შეურაცხმყოფელი სიტყვაა.

#4 ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ბუნებრივად თვლიან იმას, რომ 2013 წლის 17 მაისის შემდეგ, ბავშვებმა ჰომოსექსუალობაზე შეკითხვების დასმა დაიწყეს. ისინი თვლიან, რომ პასუხი ამას უნდა გაეცეს ადექვატურად, „არა - შელამაზებულად“, თუმცა არც ვულგარულად. ამავე ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს შემდეგ შემთხვევას:

„იყო შემთხვევა, იმ ამბების მერე (2013. 17 მაისი), რომ ბიჭს, რომელსაც ცისფერი ჟაკეტი ეცვა, დასცინეს, აი, შენც ცისფერი ხარო, მე ძალიან ბუნებრივად შევატყვე, რომ იყო დიდი ინტერესი და 10 წუთი ვესაუბრები და დაახლოებით ასეთი ტექსტით: ადამიანები თავდაპირველად შიშველ ადამიანებად ვიბადებით, მერე ვიმოსებით, ზოგი ექიმად, ზოგი რად, მაგრამ თითოეულ ჩვენგანში არის რაღაცა გენები, ბუნებასაც ხომ სწავლობთ, ზოგში რაღაცაა მეტი, ზოგში რაღაცა ნაკლები ... რეალობა რაცაა ის ვუთხარი, რომ თუ დედამ და მამამ ვერ დაინახეს (და თქვენც ხომ ვერ ნახულობთ ხშირად დიდი ხანი დედას და მამას) ... ამიტომ თუ დედიკოს გამორჩა ყურადღებიდან, ეს არ არის დასაცინი და გასაკიცხი იმიტომ, რომ ეს არის ავადმყოფობა ... ეს არ არის ნორმალური და ამის წახალისება არ უნდა ხდებოდეს ... მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს, რომ შენ თუ რაღაცა გინდა, აკეთე შენთვის, ნუ გამოდიხარ და ნუ ახვევ სხვას თავს და ნუ აიძულებ ...“

მოსწავლეებში გენდერული არაკონფორმულობის შემჩნევის შემთხვევაში მასწავლებლები თვლიან, რომ ისინი მოსწავლეს უნდა გაესაუბრონ და რჩევა მისცენ, რომ ქცევა შეცვალოს და ფსიქოლოგს დაუკავშირდეს. ისინი თვლიან, რომ ფსიქოლოგმა მას დიაგნოზი უნდა დაუსვას ჰომოსექსუალია, თუ არა. თუკი „დიაგნოზი“ უკვე დასმული აქვს, მაშინ მასწავლებელმა უნდა მოუწოდოს კლასს, რომ არ დასცინოს ამ ბავშვს და ცუდად არ მოექცეს. პედაგოგები (#1 ფოკუს ჯგუფი) ასევე იხსენებენ ჰომოფობიური მოპყრობის მაგალითს სკოლაში:

„... ერთი 20-25 წლის წინ ... ბიჭი, რომელიც ... იყო ასეთი ავადმყოფი და ყველა დასცინოდა, მახსოვს ... ძალიან მეცოდებოდა იმიტომ, რომ სულ გოგონებთან იყო და ძალიან ისე იცინოდნენ ბავშვები ... გოგონები იცავდნენ ... ბიჭებს ჰქონდათ აგრესია, არავის უნდოდა

მასთან ჯდომა ... ის ბიჭი აღარც ვიცი ცხოვრობს თუ არა ... მე სულ ველაპარაკებოდი, რომ ეს ავადმყოფობაა, ბავშვებო და ასე როგორ შეიძლება“

პედაგოგების თქმით, ასეთ შემთხვევაში კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობისას, ისინი ცდილობენ გაანეიტრალონ მდგომარეობა, თუმცა ისე, რომ საკითხს მეტისმეტად არ ჩაუღრმავდნენ. შეკითხვაზე, ჩაგრავდნენ თუ არა ბიჭები, ზემოხსენებულ მოსწავლეს მასწავლებლები პასუხობდნენ, რომ ეს ჩაგვრა კი არა უფრო გარიყვა იყო, რადგან მათ მასთან მეგობრობა არ უნდოდათ და არ იკარებდნენ. ცხადად ჩანს, რომ ამ ჯგუფის წევრები გარიყვას ჩაგვრის ნაწილად არ მიიჩნევენ.

#3 ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ამბობენ, რომ გენდერულად არაკონფორმული მოსწავლეები სკოლაში ჰყოლიათ. ასეთ შემთხვევებში ისინი თვლიან, რომ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ასეთი ბავშვი არ დაიჩაგროს. ზოგიერთი მასწავლებელი ღია ტაქტიკას არჩევს და თვლის, რომ მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ ბავშვი ასეთად დაიბადა და რომ მეგობრები ერთმანეთს არ უნდა ჩაგრავდნენ, რომ ცემით და ჩაგვრით ადამიანს ვერ გამოასწორებ:

„იმას რომ უბრაგუნებ და ცემ, გამოსწორდება უცებ? თუ რამე მოუვა? ამიტომ, პირიქით, საზოგადოებაც უნდა მიაჩვიო, რომ შეიძლება ის სხვანაირია შენგან ... მაგრამ ისიც ადამიანია, ისიც გრძნობს ტკივილს, სიხარულს, ყველაფერს ... თუ ახლა იმ ბიჭს იუბკა უყვარს, კი არ არის მისაღები, მაგრამ იუბკისა და საყურის გამო არ უნდა დაუნგრიო სახე ცემით ... მე მაგ აზრზე ვარ ... სხვათა შორის ჩავატარე გაკვეთილი ამ თემაზე, იყო ლაპარაკი, დაველაპარაკე და ვუთხარი, რომ არ აქვთ უფლება“

ამავე ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის აზრით ლგბტ ადამიანების ჩაგვრა მიუღებელია და საილუსტრაციოდ პირადი გამოცდილებიდან მოჰყავს მაგალითი:

„ჩემი შვილის მეგობარი რეჟისორია, ზუსტად ასეთია ... ჩავმაზეც ეტყობა ... ბიჭია ... ჩემი შვილი და ჩემი სიძე მას ისეთად ლებულობენ, როგორც არის და ძალიან არ სიამოვნებთ, რომ ასეთ ადამიანებს ასე დასცინიან ... გინდა არ გინდა შეიძლება შენი შვილიც გახდეს უცებ ასეთი და მერე სად მიდიხარ ... იმას აქვს თავისი გაჭირვება იმიტომ, რომ ის გრძნობს, რომ განსხვავებულია და ყოველ წუთში შეშინებულია ... ასეთი ადამიანები ძალიან ცოდობი არიან და ამიტომ ისევ ჩვენ უნდა გავიხსნათ და მივიღოთ ...“

#1 ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილის აზრით არცერთი უმცირესობის უფლებები საქართველოში არ ილახება, რადგან ეთნიკური და რელიგიური უმრავლესობის პირველ ადგილზე დაყენება ჩვენნაირი ქვეყნისათვის სრულიად მისაღები პრინციპია. მისი აზრით 17 მაისის დარბევა², ისევე, როგორც, მუსლიმ მოსახლეობასთან გაჩენილი კონფლიქტები³ არის ვიღაცის მიერ საგანგებოდ აგორებული პროვოკაციული კამპანია. მსგავსი მოსაზრება 17 მაისის დემონსტრაციასთან დაკავშირებით სხვა ფოკუს ჯგუფებშიც გაჩნდა.

² 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დემონსტრაციის მასობრივი დარბევა მოხდა ჰომოფობიურად განწყობილი მოქალაქეებისა და სასულიერო პირების მხრიდან; აქციის შედეგად ბევრი ადამიანი დაშავდა, მათ შორის სამს ტვინის შერყევა დაუდგინდა. <http://www.tabula.ge/ge/story/71188-17-maisis-aqcia-live-feed>

³ 2013 წლის განმავლობაში საქართველოში რელიგიური ნიშნით რამდენიმე დაპირისპირება მოხდა მუსლიმ და ქრისტიან მოსახლეობას შორის, მათ შორის სამთაწყაროსა და ჭელაში.

პედაგოგების უმეტესობა მომხდარს ჰომოსექსუალობის თავზე მოხვევის და პროპაგანდის მცდელობად მიიჩნევს, ზოგი კი იმასაც ამატებს, რომ დემონსტრაციის ორგანიზატორებს ვიღაცამ ფული გადაუხადა პროვოკაციის მოწყობაში.

#4 ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ „სექსუალური უმცირესობების საჯარო გამოსვლები“ ახალისებს იმ ადამიანებს, ვინც სხვა შემთხვევაში თავის იდენტობას არავის ახვევს თავს. ის იხსენებს ტრანსგენდერი მოსწავლის ამბავს:

„ასეთი შემთხვევაც იყო და დღეს იმ გოგონას ჰყავს ცოლი ... რამდენიმე წელია რაც დაამთავრა ... ბავშვებმა შეარქვეს დიტო , გარეგნობიდან გამომდინარე ... როგორც ხდება ხოლმე, მამა არ ჰყავდა, დედა ვერ ერეოდა იმ პერიოდში, რომ ექიმის კონსულტაციები და შველა ... ჩაცმულობიდან დაწყებული, დაბოხებული ხმით დამთავრებული ... დაცინვა და გაკიცხვა არ ყოფილა იყო მშვიდად და ყველა ეძახდა დიტოს ... და ასე ერჩივნა თვითონაც, მასწავლებლები მაინც კატოს ვეძახდით და ეგეც არ იყო პრობლემა .. თუმცა თუკი მანამდე ამ ბავშვს ამ თავისი „დიტოთი“ სიამაყე არ გამოუვლენია, მას მერე, რაც აქტუალური გახდა და გამოვიდნენ ამათი უფლებების დამცველები, დიტომ ჩათვალა რომ ხმამაღლა ისაუბროს ამაზე ... უფრო გააქტიურდა ... მანამდე ის იყო ჩვეულებრივი კატო ... მოწონდა დიტოს როლში ყოფნა, დღეს უკვე ამითი ამაყობს ... თუკი ამას ვერ კურნავენ, არ ვარ გაცნობიერებული, იყოს თავისთვის ჩუმად, ნუ ახდენს ამის აფიშირებას საზოგადოებში ... ეს მომდინარეობს უკუნიითიდან, მაგრამ აფიშირება არ ხდება ... ჩემს შვილს ნუ უფუჭებ ცნობიერებას, მე შეიძლება მოვიხიბლო შენით და ინტერესის გამო გადმოვეერთო ...“

კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი თვლის, რომ ჰომოსექსუალობა განკურნებადი ფსიქოლოგიური პრობლემაა, რომელსაც დროული ”მიხედვა” უნდა, სანამ ადამიანს საბოლოოდ „დაუმახინჯდა“ ფსიქიკა.

განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების მიმოხილვა

შესწავლილ იქნა ამ ეტაპზე არსებული განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტები იმ მიზნით, რომ გაკეთებულიყო ანალიზი, არის თუ არა არსებულ დოკუმენტებში ასახული გენდერული თანასწორობის პრინციპები, ავალდებულებს თუ არა კანონმდებლობა მასწავლებელს, რომ იგი ფლობდეს ცოდნას გენდერული თანასწორობის შესახებ და ითვალისწინებდეს მას სასწავლო მიზნებისა შემუშავებისა და სწავლების პროცესში. ქვემოთ გთავაზობთ საქართველოში აღიარებულ საკანონმდებლო დოკუმენტებს, რომლებიც სწავლა/სწავლებას არეგულირებს და ხელ უწყობს ბავშვთა ხარისხიან განათლებას.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ სკოლებისა და მასწავლებელთა საქმიანობის რეგულირება გენდერული თანასწორობის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით არაპირდაპირ ეხმიანება საქართველოს კანონს ზოგადი განათლების შესახებ, რომელიც აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებს. კანონში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ მასწავლებელი ხელს უნდა უწყობდეს და აღიარებდეს გენდერული თანასწორობის ფილოსოფიას სწავლების პროცესში, მაგრამ საუბარია არადისკრიმინაციაზე, გამოხატვის თავისუფლებაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, რწმენის თავისუფლებაზე, ინკლუზიურ განათლებაზე, რაც ზოგადად თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პრინციპებია და წარმოადენს ბავშვთა დაცვის საფუძველს.

ეროვნული სასწავლო გეგმა – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას; (15.12.2010. N4042)

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი – პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი; (2.03.2007. N4412). მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მასწავლებლის პროფესიულ ღირებულებებსა და ვალდებულებებს. და მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი – მასწავლებლის პროფესიული ქცევის ნორმების ერთობლიობა; „ეთიკის კოდექსი“ ადგენს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მასწავლებელს მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება. ეთიკის კოდექსის მიზანია მასწავლებლის სავალდებულო პროფესიული ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრება.

ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებში გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა, სათანადო პირობების შექმნა გოგონებისა და ბიჭების თანასწორი და უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის მასწავლებლის მხრიდან, არ არის პირდაპირ ნახსენები, ჩვენ გენდერული თანასწორობის შესახებ აღმოვაჩინეთ მხოლოდ ერთი ჩანაწერი, **მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსში, მუხლი 4. მოსწავლეებთან ურთიერთობა**

11. მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

დასკვნები

- ✚ **მასწავლებელთა დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის მიმართ.** კვლევაში გამოვლენილი შედეგები ასახავს გარდამავალ რეალობას. ფოკუსურ ჯგუფებში მონაწილე პედაგოგების უმეტესობას წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვს გენდერული თანასწორობისადმი. ისინი, ერთის მხრივ გამოხატავენ ქალთა ჩაგვრას, ხოლო მეორეს მხრივ უარყოფენ იმის საჭიროებას, რომ ქალების როლი ძლიერი იყოს სოციალურ ასპარეზზე; მიდრეკილნი არიან ჩათვალონ, რომ მამაკაცები გონებითა და შესაძლებლობებით ქალებზე უპირატესნი არიან.
- ✚ **ქალთა საზოგადოებაში თანამონაწილეობა.** მონაწილე პედაგოგების უმეტესობას ქალების დასაქმებას არ აღიქვამს, როგორც თვითრეალიზაციას, არამედ, განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივ პრობლემას, რომ „ეკონომიკური სიდუხჭირე აიძულებს ქალ მუშაობას და არიდებს შვილებზე ზრუნვას“; ეს, ერთის მხრივ უკავშირდება საზოგადოებაში გამეფებულ სტერეოტიპებს, რომლებიც ქალებს დიასახლისობისა და დედობისკენ უბიძგებს, თუმცა მეორეს მხრივ იმითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ მოცემულ ეკონომიკურ პირობებში ბევრი ქალი ვერ ახერხებს თავისათვის სასურველი და სასიამოვნო საქმე აკეთოს და ამაში კარგი ანაზღაურება მიიღოს.
- ✚ **ცოდნა გენდერის შესახებ.** კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მონაწილეებს არ აქვთ საფუძვლიანი ცოდნა გენდერისა და გენდერული თანასწორობის შესახებ. ბევრი მათგანი არ ეწინააღმდეგება არსებულ პატრიარქალურ სისტემას და ისევ მის ჩარჩოებში ცდილობს ქალთა გაძლიერების საშუალებას მიაგნოს, რასაც გენდერული თანასწორობისადმი ორმაგ დამოკიდებულებამდე მივყავართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეების დიდი ნაწილი ვერ აღიქვამს გენდერულ უთანასწორობას, როგორც სოციალური ჩაგვრის ნაწილს და ქალებისადმი სტერეოტიპულ მიდგომებსაც ხშირად არ მიიჩნევს ხელის შემშლელად ქალთა წინსვლისთვის. ტრადიციული შეხედულებების მომავალი თაობებისთვის გადაცემა მათი მხრიდან არ აღიქმება, როგორც გენდერული უთანასწორობა და ქალთა ჩაგვრის წინაპირობა.
- ✚ **მასწავლებელთა მზაობა გენდერული თანასწორობის პრინციპების გატარებისადმი.** აღმოჩნდა, რომ მიმღებლობა მოსწავლე გოგონათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანამონაწილეობის გაზრდაზე საკმაოდ დაბალია, მასწავლებლები, ძირითადად საზოგადოებაში გენდერული როლების ტრადიციული განაწილების მომხრენი არიან.
- ✚ **ქალის განათლება და კარიერის დაგეგმვა.** მასწავლებლები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ სწავლა გოგონების შემთხვევაში ერთგვარ კავშირშია პატიოსნებასა და ზნეობასთან. შესაბამისად, მასწავლებლები ხარისხიანი განათლების მიღებას, არ განიხილავენ, როგორც ქალისთვის რეალიზაციის, წარმატების, დასაქმების პერსპექტივას, არამედ, როგორც ზნეობრიობისა და პატიოსნების ნიშანს.

- ✚ **გენდერულად სენსიტიურ სიტუაციებთან გამკლავების უნარი.** მასწავლებლები არ ფლობენ იმის მექანიზმებს, რომ ეფექტურად მოახდინონ კლასში ლგბტ ან გენდერულად არაკონფორმული მოსწავლეების ბულინგის პრევენცია. ეს ძირითადად ისევ კონკრეტული მოსწავლის დიფერენცირების (თუნდაც, ძალადობის აკრძალვის ქვეტექსტით) და კლასის კოლექტიური დარიგების, ლექციის ჩატარების ფორმით ხდება, რაც საერთაშორისო პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტურ და რისკიან მეთოდად ითვლება.
- ✚ **ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური იდენტობა.** გოგონების აღზრდის, ცხოვრების მოწყობის, განათლების, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული წინსვლის საკითხებს მასწავლებლები უკავშირებენ ქართულ ტრადიციებს, რაც მიაჩნიათ, რომ ერთგვარი კონტროლის მექანიზმი და ჩარჩოა, რომელსაც გვერდ ვერ აუვლიან ამა თუ იმ საკითხზე მოსწავლეებთან მსჯელობისას.
- ✚ **ხელშემშლელი პრობლემების იდენტიფიკაცია.** ბარიერები, რომელიც ხელს უშლის გენდერული თანასწორობის საკითხის წარმატებით განხორციელებას ზოგად საგანამანათლებლო სისტემაში არის ცოდნის სიმცირე ან/და არასწორი ინფორმაცია მასწავლებლებში, ტრადიციული შეხედულებები, გენდერული თანასწორობის დაკავშირება ქალის მასკულიზაციასთან, საკანონმდებლო დოკუმენტებში შესაბამისი ჩანაწერის არ არსებობა.
- ✚ **დამოკიდებულებები ლგბტ პირების მიმართ.** მამაკაცის გონებრივი უპირატესობის, ასევე ჰომოსექსუალობის წარმომავლობისა და განკურნებადობის თაობაზე ბევრი რესპოდენტი ამბობს, რომ არსებობს ამ მოსაზრებების დამამტკიცებელი კვლევები, თუმცა ვერცერთ შემთხვევაში ვერ ახერხებს კონკრეტული წყაროს დასახელებას. ეს ფაქტორი ასევე ეთანხმება განხორციელებულ ტენდენციას, როდესაც ჰომოფობიურად და სექსისტურად განწყობილი საჯარო და სასულიერო პირები ამბობენ, რომ მათი მოსაზრებები „კვლევებს“ ეყრდნობა და არ არის მხოლოდ დოგმატური საფუძვლის მატარებელი.
- ✚ **ცოდნა გენდერული იდენტობის შესახებ.** მონაწილეთა უმეტესობა არ ფლობს სწორ ინფორმაციას გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საკითხებთან დაკავშირებით. კვლევაში მონაწილე პედაგოგები ძირითადად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანებისადმი და არ მიიჩნევენ, რომ საქართველოში ისინი იჩაგრებიან და რომ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მათი უფლებების დარღვევაა.

რეკომენდაციები

1. შეხვედრების, მოლაპარაკების წარმოება სახელმწიფო სამთავრობო სექტორთან აღნიშნული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და დაძლევის სტრატეგიის შემუშავების შესახებ;
2. არასამთავრობო სექტორის როლის გაძლიერება განათლების უზრუნველყოფის საკითხებთან მიმართებაში;
3. განათლების მარეგულირებელ დოკუმენტებში გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ჩანაწერის დამატება (მასწავლებლის სტანდარტი);
4. სტანდარტზე დაფუძნებით ცოდნის/ინფორმაციის მიწოდება მასწავლებლებისთვის გენდერული თანასწორობის შესახებ, მასწავლებელთა თანამონაწილეობაზე აგებული ტრენინგ კურსის/სემინარის დაგეგმვა და ჩატარება;
5. გენდერული დისკრიმინაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
6. მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მუშაობა;
7. კვლევის შედეგების სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისთვის მიწოდება;
8. სამუშაო ჯგუფის შექმნა აღნიშნული შედეგების ანალიზისა და სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით.

დანართი 1

ფოკუს ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუს გაიდო

1. მასწავლებელთა ცოდნის/ინფორმირებულობის შეფასება

1.1. გთხოვთ, გვითხრათ, თუ გსმენიათ სიტყვა 'გენდერის' შესახებ?

- როგორ გესმით სიტყვა 'გენდერი'-ს მნიშვნელობა?

[Follow Up 1] რა/რის ასოციაციას (ებს) იწვევს სიტყვა 'გენდერი'? რატომ?

1.2. გთხოვთ, გვითხრათ, თუ გსმენიათ ტერმინის 'გენდერული თანასწორობის' შესახებ? როგორ გესმით ამ ტერმინის მნიშვნელობა?

[Follow Up 1] როგორ გესმით „ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარი უფლებები, შესაძლებლობები და პასუხისმგებლობა?“

[Follow Up 2] რის საპირისპირო აღმნიშვნელია 'გენდერული თანასწორობა'?

[Follow Up 3] თქვენი აზრით, რა პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს და კონკრეტულად ვისთვის გენდერულმა უთანასწორობამ?

1.3. თქვენი აზრით, რას ნიშნავს სტერეოტიპი? რას ნიშნავს გენდერული სტერეოტიპი? შეგიძლიათ გაიხსენოთ რამდენიმე გენდერული სტერეოტიპი?

[Follow Up 1] რომელი სოციალური ინსტიტუტები (ოჯახი, ეკლესია, სკოლა...): ა) უწყობს ხელს, ბ) უშლის ხელს გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებას საზოგადოებაში?

[Follow Up 2] რა როლი ენიჭება სკოლას გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში? ხელს უწყობს, თუ პირიქით?

1.4. როგორ ფიქრობთ, სჭირდებათ მასწავლებლებს გენდერული თანასწორობის ტრენინგებზე დასწრება? თუ კი, რატომ? თუ არა, რატომ?

[Follow Up 1] თქვენ პირადად თუ დაესწრებოდით მასწავლებლებისთვის ორგანიზებულ ტრენინგს გენდერული თანასწორობის შესახებ?

1.5. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს გენდერულად მგრძობიარე კანონმდებლობა? გსმენიათ თუ არა საქართველოში გენდერულად მგრძობიარე კანონმდებლობის არსებობაზე? *[აქ გულისხმობთ კანონებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ და გენდერული თანასწორობის შესახებ? თუ ასეა, მაშინ, ხომ არ სჯობს, პირდაპირ მათზე კითხვით სმენიათ თუ არა?]*

1.6. თქვენი აზრით, რას ნიშნავს: „ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე“?

1.7. თუ იცნობთ ეროვნულ სასწავლო გეგმას და მასწავლებლის სტანდარტს? *[თუ ერთი რესპონდენტი მაინც იცნობს, მაშინ სვამთ ამ შეკითხვას >>>]* არის თუ არა ასახული ამ დოკუმენტებში გენდერული თანასწორობის იდეა/პრინციპები?

[Follow Up 1] უნდა იყოს თუ არა ამ დოკუმენტში ასახული გენდერული თანასწორობის პრინციპები?

[Follow Up 2] უნდა ისწავლებოდეს თუ არა გენდერული თანასწორობა ცალკე/დამოუკიდებელ საგნად სკოლებში?

[Follow Up 3] თქვენი აზრით, რა პროცედურების/მექანიზმების შემუშავება საჭირო სკოლებში გენდერული თანასწორობის და გენდერთან დაკავშირებული სხვა საკითხების სწავლების დასაწერად?

1.8. გთხოვთ, გვითხრათ, თუ გსმენიათ სიტყვა 'ფემინიზმის' შესახებ?

როგორ გესმით სიტყვა 'ფემინიზმის'-ს მნიშვნელობა?

[Follow Up 1] რა/რის ასოციაციას (ებს) იწვევს სიტყვა 'ფემინიზმი'? რატომ?

2. მასწავლებელთა უნარების შეფასება

2.1. როგორ დაახასიათებდით თქვენს მოსწავლე ბიჭებს და გოგონებს?

[Follow Up 1] ვის უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს? თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული მოსწავლის მაღალი მოსწრება (შრომისმოყვარეობაზე, ნიჭიერებაზე, სქესზე..)?

[Follow Up 2] როგორ ფიქრობთ, ზოგადად, ბიჭები უფრო ნიჭიერები არიან თუ გოგონები? შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, რომელ საგნებში არიან ბიჭები გოგონებზე უფრო ნიჭიერები და გოგონები ბიჭებზე უფრო ნიჭიერები? რა განაპირობებს ამას?

2.2. კლასში ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას, ყოფთ თუ არა მოსწავლეებს მცირე ჯგუფებად? თუ კი რა ნიშნით?

[Follow Up 1] ყოფთ თუ არა სქესის ნიშნით? რატომ?)

2.3. გთხოვთ, აგვიხსნათ, რას ნიშნავს/რას ეწოდება მოსწავლის ცუდი ქცევა/ცუდად მოქცევა?

[Follow Up 1] თქვენ თუ ამჩნევთ ხოლმე რაიმე განსხვავებას ბიჭი და გოგო მოსწავლის ცუდ ქცევა შორის?

[Follow Up 2] თქვენი აზრით, როგორ უნდა რეაგირებდეს მასწავლებელი ბიჭი მოსწავლის ცუდ ქცევაზე? გოგო მოსწავლის ცუდ ქცევაზე? სანქცია/სადამსჯელო ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს განსხვავებას მოსწავლის სქესის ნიშნით გათვალისწინებით?

2.4. შეგიძლიათ, გაიხსენოთ სკოლაში/კლასში, რომელშიც ასწავლით [ან შემთხვევა სხვა სკოლებიდან, ნაცნობი მასწავლებლებისგან მოხმენილი..] შემთხვევა, როდესაც ბიჭი მოსწავლე ჩაგრავდა/აწვალბდა/ემუქრებოდა.. გოგო მოსწავლეს?

[Follow Up 1] როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია [ზოგადად] ასეთი შემთხვევის რამენაირად ა)ახსნა, ბ)გამართლება..?

[Follow Up 2] თქვენი აზრით, ასეთი შემთხვევის დროს სასურველია ჩარევა? რატომ?

[Follow Up 3] და ვინ უნდა ჩაერიოს: სკოლის ადმინისტრაცია, მშობლები, თანატოლები, მოძღვარი..?

2.5. ფიქრობთ, რომ დღეს, საქართველოში, ახალგაზრდებმა (სკოლის მოსწავლეებს, თინეიჯერებს) არ იციან, თუ რას ნიშნავს გენდერული თანასწორობა და შესაბამისად, არ იზიარებენ მის პრინციპებს [მათთვის ღირებულებას არ წარმოადგენს]?

[Follow Up 1] ფიქრობთ, რომ საჭიროა განათლების სამინისტრო და სკოლის ადმინისტრაციები ზრუნავდნენ სკოლებში გენდერული თანასწორობის [და გენდერთან დაკავშირებული სხვა საკითხების] სწავლების დანერგვაზე? რატომ?

[Follow Up 2] თქვენ, პირადად, თუ გიცდიათ სწავლების პროცესში, თქვენს მოსწავლეებს შორის, გაგვერცელებინათ/დაგენერგათ გენდერული თანასწორობის იდეა?

თუ კი, რატომ მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?

თუ არა, >>> **[Follow Up 3]** თქვენ, პირადად, რა აქტივობებს დაგეგმავდით კლასში, რათა ხელი შეუწყოთ მოსწავლეებში გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას?

3. მასწავლებელთა გენდერული დამოკიდებულებები

3.1. თქვენი აზრით როგორია ქალთა მდგომარეობა დღეს საქართველოში?

[Follow Up 1] როგორ ფიქრობთ, სად ირღვევა დღეს, ქალთა უფლებები საქართველოში? (ოჯახში, სამსახურში...) რატომ?

[Follow Up 2] თქვენ აზრით, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ქალთა უფლებებს ყველაზე ხშირად ლახავენ/არღვევენ? [საინტერესო იქნება მიიღოთ პასუხები სოციალური სიახლოვის (მაგ., ოჯახის წევრები, ნათესავები), სამსახურებრივი ან სხვა სოც. სტატუსის, თუნდაც ინსტიტუციური წარმომადგენლობის (მაგ., მთავრობა, სასამართლო, პოლიცია, ეკლესია) მიხედვით]

3.2. თქვენი აზრით, რის გაკეთება შეიძლება საქართველოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის?

[Follow Up 1] ვინ არიან ის მთავარი აქტორები და/ან სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც [პირველ რიგში] უნდა ზრუნავდნენ საქ-ში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე?

3.3. როგორ ფიქრობთ, საქართველოში დაცულია ლესბოსელი/გეი/ბისექსუალი/ტრანსგენდერი ადამიანების უფლებები?

[Follow Up 1] თუ ფიქრობთ, რომ დაცულია, რაში გამოიხატება მათი უფლებების დაცულობა? ან კონკრეტულად რომელი უფლებების დაცულობას გულისხმობთ?

[Follow Up 2] თუ ფიქრობთ, რომ არ არის დაცული, რა არის მათი უფლებების დაუცველობის მიზეზი(ები)?

[Follow Up 3] მოსწავლეებთან თუ გისაუბრიათ ოდესმე ლგბტ პირებსა და მათ უფლებებზე? როგორი იყო მოსწავლეების რეაქცია? შეგიძლიათ გაიხსენოთ მაგალითი?

3.4. თუ თქვენი მოსწავლე ბიჭი ავლენს „გოგონასთვის დამახასიათებელ ქცევებს“ და/ან მოსწავლე გოგო ავლენს „ბიჭისთვის დამახასიათებელ ქცევებს“, როგორ იქნება თქვენი რეაქცია?

[Follow Up 1] რა სტრატეგიას შეიმუშავებთ მათთან მიმართებაში? რა კონკრეტულ ქმედებებს მიმართავთ?

3.5. ზოგადად, მიგაჩნიათ, რომ გოგონები და ბიჭები განსხვავებულად უნდა აღიზარდონ? რატომ?